# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | შაბათი, 5 მარიამობისთვე 1919 წ. № 165 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. სისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართ. გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.



ყურადღება!... მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!...

დაწმენდილი **არაყი, კონიაკი და კახური ღვინო**

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., 6. ტელეფ. 25—86

25—86 8

ღრმად დამწუხრებულნი ლიდა გაბრიელის ასული, შვილი ნინო, დედა ელისაბედი, ძმები: გრიშა, ვლადიმერი (ვალოდია), ალიოშა და შალვა, დები: ნადია ეგნატეს ასული ნიჟარაძისა შვილი სოსოთი, ოლღა ეგნატეს ასული ხუჩანოვისა მეუღლით ნიკოლოზ სიმონის ძე, თამარა და ელენე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. ბათომში ტრაგიკულად გარდაიცვალა

**კონსტანტინე ეგნატეს ძე ნარსია,**

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 4 ნაშ. საათზე სტეფნის ეკლესიაში, ქ. ქუთაისი, „პოდგორნი" ქუჩა, საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველ დღე. 2—2567—1

გამოვიდა და იყიდება

**ალ. ასათიანის წიგნი**

**მიწის საკითხი საქართველოში.**

1) მიწად მფლობელობის ფორმები. 2) მიწად-მფლობელობა საზოგადო და კერძო საკუთრებითი. 3) სახელმწიფოს საგრარო პოლიტიკა. 4) მიწად-მფლობელობის მასალები. სახაზინო, საუფლისწულო და ხიზნების მფლ. 5) კერძო მიწად მფლობელობა. 6) კერძო მიწად-მფლ. რაოდენობა და მიწის ფონდი. 7) მეურნეობის პირობები. 8) სოციალისტური პარტიების სააგრარო პოლიტიკა. 9) მეურნეობის დიფერენციაცია. 10. მიწის საკითხი ევროპის სახელმწიფოებში. 11) რევოლიუციური სააგრარო პოლიტიკა. 12) ბოლოსიტყვაობა. 10 6—6

მოუწოდებ **საბავშვო ბაღში**

ჩემთან ერთად სამუშაოდ

**ფრებელის კურს დამთავრებულ ქართველ ქალს**

ან და პირველ დაწყებით სკოლის გამოცდილ მასწავლებელს. სადგომი და სკოლის მოწყობილობა ახალ სისტემით—უკვე არსებობს.

პირობების შეტყობა შეიძლება მისამართით: მამადავითის ქუჩა № 15, ტელეფონით: № 14—04. 3—152—1


## გენ. ბარათოვის მისია

თბილისში უკვე რამოდენიმე დღეა, რაც იმყოფება, მოხალისეთა არმიისაგან საგანგებო დავალებით ჩამოსული გენ. ბარათოვი.

ჯერ-ჯერობით ჩვენ არ ვიცით, თუ რა ხასიათის არის ეს დავალება:

არც ოფიციალურად, საქართველოს მთავრობისათვის და არც თბილისის პრესისათვის, მოხალისეთა არმიის გენერალს არ განუცხადებია თავისი ჩამოსვლის მიზანი, მაგრამ არა ოფიციალური ცნობით მის ჩამოსვლის საგნათ ასახლებენ მოხალისეთა არმიისა და საქართველოს შორის დამყარებულ გამწვავებულ მდგომარეობას დარბილებას.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს, რომ საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის დამოკიდებულების გაუმჯობესებაში, პირველი სიტყვა თვით მოხალისეთა არმიას ეკუთვნის:

საქართველოს არავის წინააღმდეგ არ უწარმოებია აგრესიული პოლიტიკა და არც ერთ მეზობელ სახელმწიფოს თუ მომქმედ ძალის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ინიციატივა არ აუღია.

საქართველოს შინაური და საგარეო პოლიტიკა დამყარებული იყო ორ მტკიცე პრინციპზედ:

სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტზედ და მუდმივ ნეიტრალიტეტზედ:

ამ ორი პრინციპიდან გამომდინარეობდა ჩვენი დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან:

ვინც ჩვენს სახელმწიფოებრიობას სცნობს და ჩვენს მიწა წყალზედ თვალი არ უჭირავს, საქართველოს მის წინააღმდეგ არ გაულაშქრია და არც გაილაშქრებს.

ხოლო იმ ძალთა შორის, რომელიც არამც თუ არ სცნობდენ ჩვენს დამოუკიდებლობას, არამედ აქტიურად ებრძოდნენ მას, მოხალისეთა არმიას პირველი ადგილი ეკავა და დღესაც უკავია.

ამიტომ არის, რომ დღეს საზოგადოების ფართო წრეებში ალმაცერად უცქერიან გენ. ბარათოვის მისიას, რადგან არსებული მდგომარეობა ძალიან მცირე იმედებს იძლევა, რომ მოხალისეთა არმიამ უარყოს ის გზა, რომელზედაც იგი ადგია საქართველოსთან ბრძოლაში.

თვით იმ გენერალის ჩამოსვლას, წინ უძღოდა მოხალისეთა არმიის გაზეთების სასტიკი კამპანია ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო უკანასკნელ დროს თბილისში მიღებულ იქმნა გენ. დენიკინის ჯარის ოფიციოზი, რომელიც რაოდენათმე ფარდას ხდის იმ დავალებათ, რომელნიც გენ. ბარათოვისათვის მიუციათ.

აი რას სწერს ეს გაზეთი 23 ივლისის თარიღით:

„მოხალისეთა არმიის რწმუნებულისაგან—ქართველები, რასაკვირველია, თავის დამოუკიდებლობის ცნობას ვერ მიიღებენ".

არამც თუ დამოუკიდებლობას, ხსენებული გაზეთი ავტონომიაზედაც კი არ თანხმდება. იგი სწერს:

„საქართველოს მთავრობამ, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი, ავტონომიის სფეროშიც რომ გადიტანოს, მაშინაც კი არ შეიძლება ლაპარაკი, რაიმე საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, რადგან:

„თუ რუსეთი იცნობს საქართველოს ავტონომიას მის დღევანდელ საზღვრებში, იგი სრულებით დაკარგავს თავის სახეს ამიერ-კავკასიაში და შექმნის თავისთვის ახალ სიძნელეთ".

ამ ამონაწერიდან მხოლოდ ერთი რამ გავიგოთ: მოხალისეთა არმიას დღესაც არ სურს, არამც თუ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა, არამედ დამყარება ისეთი modus ისიც კი, რომელიც status quos ცნობითაც მაინც რაოდენადმე შესაძლებლად გახდიდა დამოკიდებულებათა იმ დარბილებას, რისთვისაც გამოუგზავნიათ საქართველოში გენ. ბარათოვი.

მაგრამ ამ გენერლის მისია, თვით მოხალისეთა არმიისათვის ყოფილა წინასწარ განწირულ უშედეგობის, რადგან მოხალისეთა არმიას მხოლოდ ერთად ერთი გზა მიაჩნია მიზან შეწონილად ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა საკითხების გადაწყვეტაში.

ამ გზას კი ასე განმარტავს მოხალისეთა ოფიციოზი:

„გასაღები ამ საკითხების გადასაწყვეტათ აქვს ახლობელ აღმოსავლეთში მომქმედ ბრიტანეთის ჯარების მთავარ სარდალს, გენ. მილნს და ჩვენც იქ მივმართავთ":

თუ გენ. ბარათოვიც საქართველოში ჩამოვიდა მხოლოდ ასეთი შეხედულების გადმოსაცემად, ჩვენ წინასწარ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მოხალისეთა არმიის დესპანთან ლაპარაკი ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევს და ჩვენ მასთან საერთო ენას ვერ მოვძებნით..

## საზღვრების საკითხი

კვირას სახელმწიფო თეატრში გაიმართა კრება მოქალაქეების, რომელზედაც პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა და გენერალმა გიორგი ოდიშელიძემ წაიკითხეს მოხსენებები საქართველოს საზღვრების შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქში სასტიკი სიცხე იდგა, თეატრში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დაესწრო თითქმის მთელი ინტელიგენცია და სამხედრო თბილისი. ყველაფრიდან აშკარათ სჩანდა, რომ საზღვრების საკითხი ძლიერ აღელვებს ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ბევრ მიზეზების გამო კონკრეტიულათ საზღვრების საკითხი კიდევ არ არის შეგნებული. ეს იმის ბრალია, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნე ქართული საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხზე არ გაჩერებულა.

ერთი მხრივ ცარიზმის რუსეთი—სულს ხდიდა ქართულ მწერლობას და ვინ გაბედავდა ოცნებას დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნაზე და მის საზღვრების შემოხაზვაზე, მეორე მხრივ სოციალ დემოკრატიის ტერორი, ეროვნულ აზროვნების წინააღმდეგ, როცა პატრიოტიზმი გამოცხადებული იყო ბურჟუაზიულ გადაგვარებათ და რეაქციონერობისა პირველ ნიშნათ ითვლებოდა.

ამიტომ მთელი ენერგია ეროვნული მოაზროვნე ინტელიგენციის იმაზე მიდიოდა, რომ ახალ თაობაში შეეტანა ეროვნული შეგნება და გაესწორებინა ის პოლიტიკა, რომელსაც სწამლავდა სოციალ-დემოკრატია.

ამ ბრძოლას მიტომ არ ჰქონდა ისეთი ხასიათი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სახელმწიფოებრივათ აზროვნება.

როცა გარემოებამ მოიტანა და ყველაზე სასტიკი მტერი ეროვნების მენშევიკები, აცხადებენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ჰქმნიან სახელმწიფოს უეჭველია ძველი პსიხოლოგია საფუძვლით ვერ იქნა ძლეული.

ჩვენი მენშევიკები უფრო გამომბრძმედილი იყვნენ და არიან სხვა და სხვა პარტიულ კონგრესების რეზოლუციებში, ვინემ საქართველოს ისტორიაში და ამიტომ სრულიად გულწრფელი იყო მ. ნოე ჟორდანიას განცხადება, რომ მისთვის და მისი პარტიისთვის საქართველო „tabula rasa" არის მხოლოდ, რომელზედაც მენშევიკები აგებენ ახალ საფუძველს, და სწევიან ახალ ექსპერიმენტებს.

მაგრამ საკმაო შეიქნა საქართველოს თავისთავი ეგრძნო სახელმწიფოთ, რომ თავისთავათ წამოიჭრენ საკითხები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სახელმწიფოს ცხოვრება უკვე ისტორიულ მოგონებათ იქცა ის დრო, როცა მენშევიკი პაციფისტები ოცნებობდნენ ამიერ-კავკასიაში ახალი სამოთხე გაემართათ, სადაც არ იქნებოდა ომის საჭიროება, და მილიტარიზმი სამუდამოთ გაათავებოდა.

ყოველი დღე სასტიკი აუცილებლობით არწმუნებდა მართველ პარტიას, რომ პაციფიზმი მოგონილი ამბავია და სოციალიზმისა და საქართველოს მომავალი მხოლოდ ქართველ ჯარის კაცზეა დამოკიდებული.

ამავე აუცილებლობის კანონით წარმოიშვა საზღვრების საკითხიც.

ჩვენ უკვე მივხვდით, რომ დოქტრინების დრო წავიდა და სახელმწიფო ტრადიციით ცხოვრობს. მართალია დღესაც, როცა იმართება კონფერენციები სადავო საზღვრების შესახებ სომხებთან, თუ აზერბაიჯანთან ის ხალხი, რომელიც სწყვეტს საქართველოს ბედს არ იცნობს მის გეოგრაფიულ ქარტას და მის ისტორიას და აბსტრაქციულ პოლიტიკურ სქემებით ხელმძღვანელობს, მაგრამ ყოველი დღე აგრძნობს მათ იმ პასუხისმგებლობის სიმძიმეს, რომელსაც ჯერ არ გრძნობენ და რაც ყველაზე უფრო საინტერესოა თვითონ ქართველი ხალხი დაინტერესდა თავის ბედით.

ხალხი, რომელიც სისხლით იცავდა თავის უკანასკნელ საზღვრებს აქტივობით და ისტორიულ ტრადიციით და ინსტიქტით დღესაც სახელმწიფოებრივათ აზროვნებს. ყოველ დათმობას, თუ მოტყუებას, რომელსაც უწინ ჰქონდა ადგილი ამიერიდან გასავალი არ ექნება და ღრმა სიეულ წინააღმდეგობას გამოიწვევს. მენშევიკებიც მიხვდებიან, რომ სახელმწიფოს აშენება ავალებს უდიდეს ყურადღება ექნეს მიქცეული ისტორიას, რომელიც წარსულით ანათებს მომავალს. და ჰქმნის გარდუვალ კანონებს.

ყოველი ნაჭერი მიწა, რომელსაც ჩვენი მთავრობა დაუთმობს მტრებს ნაღმების სარდაფათ იქცევა და მისი აფეთქება მთავრობას გადაიტანს, ამაშია აზრი გამოღვიძებულ ქართულ სახელმწიფოებრიობის, ყოველი დღე მხოლოდ ზრდის ამ შეგნებას და კონკრეტიულ სახეს იღებს საქართველოც.

საქართველოს „tabula rasa" თანდათან ჰკარგავს მენშევიკების დაწერილ დოქტრინებს და საცნაური ხდებიან ძველი გიეროგლიფები. რამდენსაც ამაგრებენ ახალ სახელმწიფოს შეგნებას.

## საჯარო კრება საზღვრების შესახებ.

კვირას 3 აგვისტოს სახაზინო თეატრში გაიმართა მოქალაქეთა კრება ეროვნულ დემოკრატიულ, უპარტიოთა და რადიკალ დემოკრატების მთავარ კომიტეტის ინიციატივით. კრებას მიუხედავათ სიცხისა აუარებელი ხალხი დაესწრო. განსაკუთრებით ბევრი იყვნენ სამხედრონი, კრებას თავმჯდომარეობდა და გახსნა სპირიდონ კედიამ, რომელმაც სიტყვით მიმართა საზოგადოებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზღვრების საკითხს საქართველოსათვის.

შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს პრ. ივ. ჯავახიშვილმა და გენერ. გიორგი ოდიშელიძემ.

საზოგადოებამ მომხსენებლები ძლიერი ტაშით დააჯილდოვეს.

ჩვენი გაზეთის მეორე ნომერში დაბეჭდილი იქნება სრული ანგარიში ამ კრების.

## დამფუძნებელი კრება

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

**აფხაზეთის საკითხი**

(ეროვნ.-დემ. ფრაქციის შეკითხვა)

**შეკითხვის ტექსტი.**

1. იცის თუ არა მთავრობამ, რომ სოხუმის ოლქში საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ჯაუფი მეცადინეობით საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საწინააღმდეგო განწყობილებაა; რომ ამ ჯაუფის მეთაურობით აფხაზეთის სახალხო საბჭოს მცირედი ნაწილი იმუშავებს კონსტიტუციის დებულებას საქართველოსაგან განშორების განზრახვით.

2. იცის თუ არა მთავრობამ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა განდევნილია სოხუმის ოლქის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებიდან, რომ კერძოთ ამ ჩვენი მოწინააღმდეგე ჯაუფის წინადადებას, რომ სოხუმის სოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებულთა სიმწიფის ატესტატი მარტო რუსულ ენაზედ ყოფილიყო შედგენილი, მხარი დაუჭირა საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ბ-ნმა ისიდორე რამიშვილმა და მთელმა ს.-დ. ფრაქციამ.

3. იცის თუ არა მთავრობამ აფხაზეთის საბჭოს საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ფულს ურიგებს კერძო პირთა პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

4. იცის თუ არა მთავრობამ, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილება, რომელიც ფაქტიურად გაუქმებულია, ყოველთვიურად ასი ათას მანეთად უჯის საქართველოს ხაზინას. თუ ყოველივე ეს მთავრობას მოეხსენება, რა ზომები აქვს მიღებული.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა რა ამ შეკითხვის საგნის მეტად სერიოზული და რთული ხასიათი და ის გარემოება, რომ ამჟამად მას პასუხის გასაცემად ამომწურავი მასალა არ მოეპოვება, დამფუძნებელ კრებას ეთხოვა ამ შეკითხვის ერთი კვირით გადადება. შემკითხველი დაეთანხმა და დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის წარმომადგენლის თხოვნა შეიწყნარა.

**სპირიდონ კედიას სიტყვა**

კედია. მოქალაქენო, აფხაზეთის საკითხი თქვენი ყურადღების საკითხად უნდა გავხადოთ დღევანდელ სხდომაზე. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა განაპირა მხარეებში, საზოგადოთ, უღირსად დაზიანებულია. თქვენ კარგად იცით, რომ მთავრობის ძალა და ენერგია როგორც კაცით, აგრეთვე ფულითაც ამ განაპირა კუთხეებში იხარჯება, აგერ მეორე წელიწადია, ძალიან ინტენსიურად. ჩვენი შინაური და საგარეო პოლიტიკის სირთულე უმეტესად ჩვენი განაპირა კუთხეების მოუწესრიგებლობით არის შექმნილი. რა თქმა უნდა, ამ გარემოებაში ჩვენ ყველას მიგვიძღვის ბრალი. ჩვენ თავიდანვე წესიერად ვერ დავაფასეთ ის ფაქტი, რომ ეს განაპირა კუთხეები ჩვენი ეროვნულ—სახელმწიფოებრივი, იდეისთვის ყველაზედ სახიფათო ელემენტს წარმოადგენდენ, ან იმიტომ რომ აქ ყველაზედ უფრო გადაგვარებული (ყია მოსახლე) ქართველთა ეროვნული გრძნობა, ან იმიტომ რომ აქ სჭარბობდა სხვა ეთნიური ელემენტი. ამ განაპირა კუთხეებს, თან სდევდა სპეციალური მდგომარეობა ყოველმხრივ: პსიხოლოგიურად, კულტურულად, სოციალ-ეკონომიურად და ზნე-ადათის მხრივად. რომ ეს განაპირა ქვეყნები არ დაგვეფრთხო და დაგვეახლოვებინა, საჭირო იყო, ანგარიში გაგვეწია მათ სპეციფიური დეტალებისა და საქართველოს ცენტრისაგან მათ განსხვავებელ თვისებებისთვის. ამ კუთხეების თვისებურება უნდა ყოფილიყო ყოველ ჩვენი ნაბიჯის და მოქმედების ჩამგონებელი. ჩვენვე ამდენი დაკვირვება და საგნის გათვალისწინება ვერ შევძელით; მიზეზი ამისა, მრავალია. დღეს ამ განაპირა კუთხეთა შორის ყველაზე უფრო სახიფათო აფხაზეთია. სახიფათოა, იმიტომ რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას ამ გზით ემუქრება ჩრდილოეთის მტერი—რუსეთი! დენიკინი აფხაზეთით აპირობს საქართველოში შემოჭრას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ რომ აფხაზეთში დღეს აქტიური ფრონტი, გვაქვს, რომ აქ ჩვენს წინააღმდეგ დარაზმულია მტრის დიდი ძალა და რომ ჩვენი სამხედრო ძალის კარგი დიდი ნაწილიც სწორედ აქ, შევყარეთ მტრის პირისპირ. დიახ! დღეს აქ აქტიური და მომქმედი ფრონტია, ფრონტის უკან კი გადაშლილია ის აფხაზეთი, სადაც დღეს ჩვენი სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და ინტერესები განსაცდელშია ჩავარდნილი. მოსალოდნელი სამხედრო მოქმედების მოსაგებად და, საერთოდ, ჩვენი შინაური სიმტკიცისთვის საჭიროა რომ აფხაზეთში მაწრაფლ შეიცვალოს წესი და მეთოდი მუშაობისა, და აგრეთვე

# უკანასკნელი ცნობები

დამფუძნებელი კრების მუშაობა თვენახევრით შესწყდა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ კლემანსოსგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც კლემანსო საქართველოს აფრთხილებს სომხეთის საქონელს თქვენ ტერიტორიაზე ნუ შეაჩერებთო.

აზერბაიჯანმა ინგლისელებს კასპის ფლოტის მოხალისეებზე გადაცემის გამო მტკიცე პროტესტი განუცხადა.

ბალკანეთში არეულობაა...

ბულგარეთმა საზავო კონფერენციას ნოტა გადასცა, რომელშიაც დობრუჯასა, ფრაკიას და მაკედონიას მოითხოვს!

ხელის მოწერის ვადა ავსტრიელებს 7 დღით გაუგრძელეს.

პსკოვის მიმართულებით ბოლშევიკებმა დაიხიეს,

ამერიკა საზავო ხელშეკრულებას არ ადასტურებს

გერმანიის კონსტიტუციის შემუშავება დასრულდა.

---

ადაყენებულნი ის პირნი, რომელთაც ვერ გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ნიჭი და უნარი.

ამ პირთა მეოხებით ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი აფხაზეთში ვერ იცავს ჩვენს ინტერესებს, არამედ უფრო ჩვენდა საზიანოდ არის გამოყენებული უფრო მოხერხებული მტრების მიერ. მე ამ ჟამად მოგახსენებთ იმ ცნობებს, რომელიც მიმიღია პირადად, პირდაპირის წყაროებიდან, საგანგებო გაგზავნილი კაცისაგან და აგრეთვე სხვა და სხვა პარტიის შეგნებულ წევრებისაგან, რომელნიც სხვა და სხვა პირობებში, სხვა და სხვა დროს აფხაზეთში ყოფილან და იქაური მდგომარეობას პირადათ გაცნობიან. ყველა ეს ცნობა გვეუბნება, რომ აფხაზეთში ჩვენი მდგომარეობა ძალიან ცუდია, რომ აფხაზის ხალხი ქართველების წინააღმდეგ განწყობილი და, ღმერთი რომ გასწყრეს, და ფრონტზე რომ მდგომარეობა გაგვირთულდეს, შეიძლება აფხაზეთში კატასტროფა ვპოვოთ. ასეთი დასკვნა და შთაბეჭდილება გამოაქვს ყველას, ვინც კი აფხაზეთში ყოფილა და ცოტახანს მაინც იქ დაუყვია. თქვენ კარგად იცით, რომ აფხაზის ხალხი ჩვენთან ისტორიულ მეგობრობით და საერთო კულტურულ პოლიტიკურ ცხოვრებით არის დაკავშირებული. თქვენ კარგათ იცით, რომ თუ აფხაზის ხალხს ვისიმე მიმართ სიმპატია ჰქონია, ეს სწორედ ქართველებისადმი; როდესაც ჩვენ ქვეყანაში საერთო რუსეთის ბატონობა იყო, აფხაზეთი ყოველთვის სიმპატიით ყოფილა განწყობილი ქართველებისადმი და არასოდეს ქართველებსა და აფხაზებს შორის არავითარი ანტაგონიზმს ადგილი არ ჰქონია; რუსეთის მიმართ ქართველებსა და აფხაზებს მუდამ საერთო ფრონტი და პლატფორმა დაუჭერია. ეს ძველი მდგომარეობა დღეს შეიცვალა და თითქმის მთელი აფხაზობა ჩვენდამი უკმაყოფილებით არის აღვსილი და ვფიქრობთ, რომ შესაფერი დრო დადგეს, აფხაზთა ამგვარ განწყობილებას ჩვენს წინააღმდეგ ადვილად გამოიყენებენ ჩვენი მოსისხლე მტრები, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან აფხაზეთში სხვა და სხვა ეროვნების შორიდან და მაშინ ჩვენ კატასტროფა არ აგვცდება. რა თქმა უნდა, არის აფხაზთა შორის ისეთი ნაწილიც, რომელიც ჩვენი მომხრეა. რომ აფხაზის ხალხს უფრო ახლო დავხლოვებოდით და ინტიმიურად დავლაპარაკებოდით, დავარწმუნებდით, რომ, მას ჩვენი მეგობრობა სჭირია, ჩვენი ძმობა! მაგრამ ვ მეორეს, დღეს აფხაზთა შორის საერთო უკმაყოფილება და საქართველოს მიმართ საწინააღმდეგო განწყობილება. არა ამ გარემოებას უნდა გავუწიოს ანგარიში და შევეცადოთ გარდავქმნათ ეს ვითარება, რომ აფხაზობამ ჩვენდამი მარილაც და ლოიალური მეგობრობა დაიჭიროს და ჩვენთან ერთად საერთოდ მტრის წინააღმდეგ ყველა საჭირო მსხვერპლი გასწიოს. აფხაზეთში, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდნენ რუსის აგენტები განსაკუთრებით რუსის სამღვდელო წოდებისაგან და მასწავლებელთა წრიდან გამოდიოდნენ გაბედული მტრები ქართველებისა და ქართული იდეისა. ეს ყველამ კარგად იცით; ყველა ეს პირები, დღესაც აფხაზეთში არიან და განაგრძობენ თავიანთ აშკარა ანტიქართულ მოღვაწეობას. ამ პირებმა თავიანთი პოლიტიკური სახე სხვა და სხვა ნაირად შეისწორეს: ვინ ბოლშევიკია და ბოლშევიკურის იდეით და მეთოდით გვებრძვის, ვინ კიდევ დენიკინელია და დენიკინის იდეით და სისტემით გვებრძვის, ვინ ადგილობრივ მკვიდრთა სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიაშია და ისე ოსტატურად ებრძვის საქართველოსა და მის დამოუკიდებლობას. ყველა ეს ანტი ქართული აქტიური ელემენტი ერთ პოლიტიკას ადგია და ერთ მიზანს ემსახურება: საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას. ხშირად იმართება ბოლშევიკური მიტინგები, სოხუმსა თუ სხვა აფხაზეთის დაბებში, სადაც აგიტატორები საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებენ, გამოაქვთ კიდევაც შესაფერი რეზოლიუციები. ხალხში ეს აზრები თავისუფლად ვრცელდება. ამ გვარი მიტინგების პოლიტიკურ აგიტაციის წინააღმდეგ აქამდის მაინც, არავითარი რეპრესიული ზომები არ ყოფილა მიღებული. ისე რომ ჩვენი დამამხობელი და გამანადგურებელი ხალხი სრულ თავისუფლებით სარგებლობს ამ მხარეში, მათ მოქმედებას არავითარი დაბრკოლება წინ არ ეღობება და ეს ხალხიც არხეინად განაგრძობს თავის მუშაობას, როგორც ხალხში და ქუჩაში, ისე სხვა და სხვა სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებაში. ასეთი მტრული მოქმედება დღეს გაჩაღებული საქართველოს წინააღმდეგ. თვით აფხაზეთის სახალხო საბჭოშიც.

ეს აფხაზეთის სახალხო საბჭო, შესდგება 40 წევრისაგან. იგი არჩეულია ახირებული წესით და სისტემით, რომლის ძალით საარჩევნო უფლება მინიჭებული ჰქონდა იმათაც კი, ვინც საქართველოს ქვეშევრდომი არ იყო. მიუხედავად იმისა რომ ჩვენმა შინაგან-საქმეთა მინისტრმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრა თავის მიწერილობაში და მოითხოვა ამ ახირებული საარჩევნო დებულების სათანადო შეცვლა, აფხაზეთის საბჭოს არჩევნები მაინც ამ დებულების მიხედვით მოხდა; მე სრულიად ზედმეტად მიმაჩნია იმის თქმა, რომ არსად დედამიწის ზურგზე ისეთი საარჩევნო სისტემა და წესი არ ყოფილა მიღებული, რომ არაქვეშევრდომსაც, რომელსაც არავითარი ორგანიული და სახელმწიფოებრივი ინტერესი არა აქვს ქვეყანასთან, მონაწილეობა მიეღოს არჩევნებში; მართალია, ჩვენ არ გვეშინიან არ გაგონილი და არ ნახული, ლოღიკას და სასიცოცხლო ინტერესის საწინააღმდეგოდ მეტად ახირებული ექსპერიმენტებისა, მაგრამ ფორმალურ მხარეს რომ თავი დავანებოთ და საგანს რომ რეალური ინტერესით თვალით შევხედოთ, გარწმუნებთ რომ ჩვენთვის ეს საარჩევნო წესი მეტად მავნებელი და საზარალოა. იგი ჩვენთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს აფხაზეთში ამის წინააღმდეგ ფაქტიურად არავითარი ღონისძიება არ მიუღია. რომ ეს ინერტობა არა ამგვარი არჩევნების გაბათილებული იქნებოდა და ქვეყანა მოიგებდა.

40 წევრიანი სახალხო საბჭო, ფრაქციონულად ეს წევრები ესე არიან დაყოფილნი: 27 სოციალ-დემოკრატი, 3 — ესერი, 8 — დემონოვის ჯგუფისა, რომელიც კოდორის ნაწილში იქმნა არჩეული; ეს ჯგუფი დემონოვის მეთაურობით აწარმოებს ანარქიულ პოლიტიკას; საბჭოშია ერთი წარმომადგენელი ფედერალისტებისა და ერთიც ეროვნულ დემოკრატებისა; ასე რომ ფრაქციული შედგენილობის მხრივ, სრული იმედი უნდა გვქონიოთ, რომ ამ საბჭოში, რომელმაც თავის თავი დიდი უფლებებით აღჭურვა და კომპეტენცია ისე გაიფართოვა რომ თითქის აფხაზეთის სუვერენულ საკანონმდებლო ორგანოდ აცხადებს თავის თავს, ვიმეორებ, ფრაქციული შედგენილობის მხრივ, ამ აფხაზეთის სახალხო საბჭოსი, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა უაღრესად დაცული ყოფილიყო, იმიტომ რომ უმრავლესობა ამ დაწესებულებაში არის ჩვენი მმართველი პარტიის ხელში,— აქ უნდა ყოფილიყო გარანტია ჩვენი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სიმტკიცე აფხაზეთში. მაგრამ, ალბად ადგილობრივ სპეციფიურ მდგომარეობის გამო, რომელიც აქედან ჩვენთვის თითქმის დაუნახავია, არავითარი ფაქტიური ვითარება არ გამოდგა საკმარისი რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები დაცული ყოფილიყო; ეს მჟღავნდება თითქმის ყოველ უმრალო საქმეშიაც. აფხაზეთის სახალხო საბჭო იმუშავებს ისეთ კონსტიტუციას, რომელიც აფხაზეთის სრულ სუვერენობას მოითხოვს და საქართველოსთან მეტის მეტ სუსტი დამოკიდებულებას იტოვებს. ეს კონსტიტუცია აფხაზეთს ანიჭებს ყოველგვარ უპირატესობას ჩვენს ხარჯზე, ხოლო საქართველოს, თითქმის არავითარ უფლებას ამ მხარეში არ უტოვებს. ეს კონსტიტუცია, ადრე თუ გვიან, ჩვენ წარმოგვიდგება ჩვენს შეხედულებასაც ამ საგანზე მაშინ გამოვსთქვამთ.

(დასასრული იქნება)

## დამფუძნებელი კრების 1-ლი სესიის დასრულება

შაბათს, დამფუძნებელი კრების 1-ლი სესია დასრულდა და სხდომები 1 თვე ნახევრით შესწყდა.

დამფუძნებელი კრების მე-2 სესია გაიხსნება ენკენისთვის 19 ს.

**მისალმება სახალხო გვარდიას.**

საქართველოს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგმა ს. მდივანმა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„გთხოვთ გადასცეთ სახალხო გვარდიას დამფუძნებელ კრების გულმხურვალე სალამი.

დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ სამშობლოს ღირსებისა და მთლიანობის დამცველი დემოკრატიული სახალხო გვარდია კვლავინდებურის თავდადებით განაგრძობს თავის წმინდა მოვალეობის აღსრულებას. საქართველოს და მისი თავისუფალი ხალხის მტკიცე ზღუდენი. გამარჯვება გიძღოდეთ წინ.

## გენ. ჰეიგი მომავლის შესახებ.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ გენ. დუგლას ჰეიგმა აბერდინის უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა შემდეგი: „ისინი რომელთაც ჰგონიათ, რომ ჩვენ აღარ გვექნება ბრძოლა, სცდებიან. ჩვენ უნდა მზად ვიყოთ ბრძოლისთვის. ყველაზე დიდი ნაწილი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა უნდა დავატაროთ სამხედრო მზადებაში.

(„ჟოლ. მანი").

## ახალი დესანტი მურმანში.

ლონდონიდან მკათათვის 20-დან იუწყებიან, რომ 40,000 ინგლის-კანადის ჯარი ამ დღეებში მისულა მურმანში. მისი ერთი ნაწილი წასულა ვოლოგდისკენ, მეორე ნაწილი პეტროგრადს.

ერთი დიდი ტრანსპორტი გემი დატვირთული სურსათი და არაღებით ინგლისიდან მისულა ქალ. არხანგელსკში.

(„ჟოლ. მანი")

## განწყობილება სტამბოლში.

სტამბოლის გაზეთების ცნობებით სტამბოლის მდგომარეობა გართულებულია. ახლანდელ კომიტეტი წინააღმდეგ დიდი აგიტაცია სწარმოებს.

გაზ. „სტამბოლის" სიტყვით მთავრობის წინააღმდეგ გამოსულა 11 პოლიტიკური ჯგუფი. მკათათვის 23-ს მათ მიერ დანიშნული დიდი მიტინგი, რომელიც უნდა მომხდარიყო სულთან-აჰმედის მოედანზე არ შემდგარა პოლიციის და მოკავშირეთა სარდლობის განკარგულებით.

პრესის დიდი ნაწილი ბრალ სდებს დიდ ვეზირს იმაში, რომ მას დაუმალავს ვერსალის კონფერენციაზე წარმოდგენილი ნოტის დედანი.

## საქართველოს დამოუკიდებლობისათვის

კონსტანტინოპოლიდან ჩამოსული პირი, რომელმაც დამფუძნებელ კრების ერთ-ერთ ფრაქციას ჩამოუტანა წერილები იუწყება, რომ საფრანგეთის ყველა წრეებში და მოკავშირეთა ქვეყნებში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს მეტად პატივისცემით ეპყრობიან.

პარიზის პრესა საქართველოს დიდის ყურადღებით ეპყრობა.

მრავალი კომერციული დაწესებულებანი მიმართავენ ბოლოზე ჩვენ დელეგაციას საჭირო საქმეებზე. მფართო-ბენ, რომ საქართველოს საკითხს გაარჩევენ ოსმალეთისა და სომხეთის საკითხის შემდეგ და მას არ დაუკავშირებენ რუსეთის საკითხს, თუმცა რუსეთის დელეგატები თ-დ ლვოვის და საზონოვის მეთაურობით ამის წინააღმდეგნი არიან. („ნ. დ.")

# ქრონიკა

## საგარეო საქმ. მინისტრები კორი-თან

ამ დღეებში საგარეო საქმეთა მინისტრებმა ჯაფაროვმა და ევ. გეგეჭკორმა ერთად ინახულეს ინგლისის სარდლობის უფროსი გენ. კორი და მასთან ხანგრძლივი საუბარი იქონიეს დღევანდელ მომენტის გარშემო.

**სომხეთის პარლამენტის გახსნა.** აგვისტოს პირველს ერევანში გაიხსნა სომხეთის ახლად არჩეულ პარლამენტის პირველი სხდომა. პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს საჰაკიანი.

**გიმნაზიის გაუქმება.** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისის 3 ქალთა მეექვსე გიმნაზია დაიხურება, ხოლო ამ გიმნაზიის მოწაფეები გადაყვანილ იქნებიან მეოთხე გიმნაზიაში.

**ექიმთა კავშირის სხდომა.** ოთხშაბათს 6 მარიამ. საღ. 8 ს. მიხეილის საავადმყოფოში შესდგება საქ. ექიმთა პროფ. კავშ. თბილ. განყოფ. საზოგ. კრება. ეს კრება, როგორც მეორე, კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა ამხანაგი დაესწროს. განსარჩევია: 1) საბებიო ინსტიტუტში ექიმებ. მოწვევის საკითხი 2) თბილ. საექიმო სამმ. ინსპექტორის თანამდებობაზე კანდიდატის დასახელების საკ. 3) დებულებანი ერთი ექიმის მიერ, ერთი ან რამოდენიმე ადგილის დაკავების შესახებ. 4) სინიდ. სასამართ. წესდების პროექტი.

**უბედური შემთხვევა.** 2 აგვისტოს რუსთაველის პროსპექტზე სამხედრო უწყების ავტომობილმა სასიკვდილოდ დაჩაგვა უცნობი ქალი.

**თავის მოკვლა.** აგვისტოს 1-ს კახეთის ქუჩაზე მილიციამ დააპატიმრა ვინმე ქალბინი; რომელსაც ფეხსაცმელების მოპარვა ბრალდებოდა ქალბინი მეორე დილით სატუსაღოში მკვდარი ნახეს, რომელსაც თავისი ქამრით თავი ჩამოეხრჩო.

**გაფრთხილება.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ყველა კლუბებს გამაფრთხილებელი მიწერილობა დაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ კლუბებში შემჩნეულია აზარტიანი ბანქოს თამაში და თუ რომელიმე კლუბში ეს აღმოჩნდება მას სამუდამოდ დაკეტავენ.

**მადლობის გამოცხადება** სასადილო „იმედის" საზოგადოებამ მიიღო 500 მან. ქალბ. თინათინ გიორგის ასულის ფორაქიშვილისაგან რისთვისაც გამგეობა მადლობას უძღვნის.

**ვაჟთა გიმნაზიაში** მისაღები გამოცდები ყველა კლასებში (უფროს მოსამზადებელი და 1—7 ძირითად კლასებში) დაიწყება 1 ენკენისთვიდან.

## სამხატვრო ქრონიკა

**ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების წიგნი.** ქუთაისში გამოვიდა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების პირველი წიგნი „დაისები."

**პოეტების ცეხი „კოლჩუგა".** ბორჯომში და ს. წაღვერში მართავს საღამოებს. 15 აგვისტოსთვის. საღამოში მონაწილეობენ: ა. კრუჩიონისი, ნიკოლოზ ევრეინოვი, ტიციან ტაბიძე, ვასილი კამენსკი, იური დეგენი და სხვ.

**ნიკოლო ევრეინოვი.** თბილისის ანტრეპრენიორებს მოლაპარაკება აქვთ რეჟისორ ნიკოლოზ ევრეინოვთან, რომ თბილისში დარჩეს. ნ. ევრეინოვი პეტერბურგში ხელმძღვანელობდა „პრივალ კომედიანტების" და „ბროდიაჩაია სობაკას". ახლათ აქვთ ევრეინოვს ჩაბარებული „ლადია არგონავტოვ"

**„პოეზიის აკადემია".** სექტემბრიდან თბილისში არსდება პოეზიის აკადემია. ამ ახალ საქმეს სათავეში ჩაუდგებიან პოეტები „ცისფერ ყანწების" ჯგუფიდან. უკვე მზად არის რამდენიმე მოხსენება, უმთავრესი ყურადღება მიექცევა ლექსის შესწავლას.

**ლიგა კავკასიის კულტურისა.** თბილისში არსდება ლიგა კავკასიის კულტურისა, მსგავსად სლავიანთა კულტურის საზოგადოებისა. ორგანიზაციას სათავეში უდგანან პოეტები და მწერლები. პირველი საორგანიზაციო კრება მოხდა სომხეთის პოეტ ოვანეს თუმანიანის ბინაზე, რომელზედაც დაესწრნენ ქართველი პოეტები.

**„კაპელას" კონცერტი.** სამშაბათს მარიამობისთვის 4-ს მუშტაიდის კლუბში გაიმართება მეორე სახალხო კონცერტი კოოპერატივთა კავშირის გუნდის „კაპელლა"-სი.

**წარმოდგენა ბორჯომში.** შაბათს, 9 მარიამობისთვის, ბორჯომში, მინერალურ წყლების პარკში, წითელ ჯვრის ბავშვთა თავშესაფარის და ბორჯომის მინერალურ წყლების ბალნეოლოგიურ განყოფილების სასარგებლოდ გაიმართება დიდი სეირნობა ლატარია-ალეგრით და იქნება აგრეთვე მუსიკა, ცეკვა, საბავშვო სათამაშოები, სხვა და სხვა გასართობები, კიოსკები, კაფე, ყვავილები. საღამოს ქართული სიმღერები დ. არაყიშვილისა, კაბარე, მუსიკალური გრიმასი, ამერიკული აუქციონი. მონაწილეობენ: ი. ნ. ევრეინოვი, ინაშვილი, გარტმანი, ტ. ე. ელეცკი, ქ-ნი ტრუშჩოვა, სანდრო კორანა და სხვები. დასაწყისი საღამოს 4 საათზე.

## პროვინციის ცხოვრება

### ოკრიბა

**ყაჩაღ მორჩაძის თარეში.** ყაჩაღ მორჩაძის თარეშს საზღვარი აღარ უჩანს. ფაქტიურად ის არის მთელი ოკრიბის ბატონ-პატრონი. ამ დღეებში მისულა ის მესხის (რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ნანეიშვილთან ერთად მის დევნაში) ოჯახში. მესხი სახლში არ დახვედრია. მას გაბრაზებულს წაუვლია ყურში ხელი მესხის მე-6 კლასელ ვაჟისთვის, უკრავს მაუზერის ტყვია პირში და მოუკლავს. რევოლვერის ხმაზე გამოვარდნილა ყმაწვილის დედა, რომლისთვისაც ძალზე უცემნია მორჩაძეს და ცალი ძუძუ ლამის აუგლეჯია. ასე თარეშობს ოკრიბაში ვაჟბატონი მორჩაძე. ხალხი გაკვირვებულია და ფიქრობს ნუ თუ მთავრობას იმდენი ძალა არ შესწევს რომ ერთი ყაჩაღი ალაგმოს.

## მესხეთისათვის

ჩვენს მთავრობას ერთი ახირებული თვისება აქვს. იქ, სადაც საჭიროა ურყევი და მტკიცე პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიური კურსი, ის აწარმოებს სუსტსა და მერყეობის პოლიტიკას, ხოლო იქ, სადაც ადგილობრივი პირობები შეუძლებლად ხდიან ცენტრალისტურ კურსის აღებას, ჩვენი მთავრობა ისეთ გზას ადგება, რომელსაც არა თუ არ დაირღვევის მტკიცე პოლიტიკური ხაზი, არამედ პირწმინდა ჯიუტობას განასახიერებს.

ჩვენი ცხოვრების, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი ცხოვრების წამყვანი პოლიტიკა სულ სხვა და სხვა ხასიათისა უნდა იყვნენ ცენტრში და პერიფერიებში. რამდენადაც ცენტრში ხალხის შეგნება და პოლიტიკური სიმწიფე ანელებს სახელმწიფოს დამშლელს და გამანადგურებელ მოქმედებას ჩვენის მთავრობისას და რამდენადაც მთავრობის შეცდომებს საკუთარის სისხლითა და შრომით ასწორებს თვით ქართველი ხალხი, იმდენად ყოველი ასეთი შემცდარი ნაბიჯი პერიფერიებში აურაცხელ მსხვერპლად დაჯდომია სახელმწიფოს და ამ შეცდომის გამოსყიდვას კიდევ დიდძალი სახელმწიფოებრივი ენერგია და ნებისყოფა შეეწირება.

ასეთი პერსპექტივების წინაშე სდგას დღეს დღეობით საქართველო არა მარტო მესხეთ-ჯავახეთში და საერთოდ სამუსლიმანო საქართველოში, არამედ აფხაზეთშიც და ბორჩალოს მაზრაშიც და საზოგადოდ მოსაზღვრე ადგილებში. იმის გარდა რომ აქ არა სცხოვრობს ეროვნულ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ქართველობის მჭიდრო მოსახლეობა, აქ საქმე გვაქვს ჩვენ ზევრ ისეთ მომენტებთან, რომელთა გათვალისწინებას დიდი სახელმწიფო კაცის ტაქტი და გამჭრიახი უნარი სჭირდება. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ასეთის ტაქტისა და გამოცდილების რწმუნებულნი ჰყავდეს გაგზავნილი ჩვენს მთავრობას ამ განაპირა პროვინციებში. მათი შეცდომების გამო არა ერთი და ორი ქართველი დედა ატირებულა და დრო არის ეხლა მაინც დავზოგოთ ქართველი ხალხის შემოქმედი ძალები. ამ კუთხეების ეთნიურ სიჭრელეს გადამწყვეტის მნიშვნელობით თან ერთვის სარწმუნოებრივი და სოციალ—ეკონომიური მომენტები. არც ერთი ამ მნიშვნელოვან მომენტთაგანი გათვალისწინებული არა აქვს ჩვენი მთავრობის რწმუნებულთ, თორემ მესხეთ-ჯავახეთში და სამუსლიმანო საქართველოში განა მოსატანია რაიმე პარტიული დოგმა და ამ დოგმით ხალხის წინაშე ტრაბახი?

ნუ თუ ჩვენს მთავრობას არ შესწევდა იმდენი შორსმჭვრეტელობა და მომმეტე პარტიათა შორის ავტორიტეტი, რომ დაერწმუნებია ყველა პარტიები, რათა მათ შეთანხმებულად, ლამაზად და სახელმწიფოებრივის ინტერესებით ჭეშმარიტის განმსჭვალვით ემოქმედათ და ემუშავათ ახლად შემოერთებულსა და ისეთ სათუთად მოსაპყრობ ადგილებში, როგორიცაა მესხეთ ჯავახეთი, აფხაზეთი, სამუსლიმანო საქართველო და სხვა განაპირა ადგილები?

ეს შეეძლო ჩვენს მთავრობას, მას ყველა სიამოვნებით ამოუდგებოდა გვერდით, მაგრამ, უთუოდ პარტიულის მოსაზრებით ეს მან არ ინება, რასაც უთუოდ დიდს პასივში ჩაუწერს მას ისტორია.

თურმე ნუ იტყვი, „უხერხულია სოციალისტთა და არა სოციალისტთა ერთის საარჩევნო სიით ხალხის წინაშე გამოსვლა". ამისთვის ალიად არხი-„სოციალისტი" დაშნაკცაკანები და მსოფლიო ინტერნაციონალი დასძრახავენ ჩვენ მენშევიკურ მთავრობას.

რას მიქვიან გაერთიანებული საქართველოს იდეა და ქართველი დემოკრატიის არსებითი ინტერესები, როდესაც რუსეთის ბოლშევიკური დემოკრატია და ამსტერდამის სოციალისტურ კონფერენციის მეთაურები ამით კიდევ ერთის საბუთით მეტს მიიღებენ სთქვან, რომ ქართველი მენშევიკები მსოფლიო რევოლიუციის გზას უხვევენ!?!?...

ეს გახლავსთ აზრი მთავრობის რწმუნებულებისა და უნდა ვიფიქროთ იმისიც, ვინც ამ რწმუნებულთ მანდატს აძლევს.

ვსთქვათ, დამფუძნებელ კრების დამატებით არჩევნებში ძნელი იყო საერთო შეთანხმებულის სიით გამოსვლა და ადგილობრივ მცხოვრებთათვის ერთი ქართველი პირის ჩვენება (თუმცა შეუძლებელი აქ არაფერია და პირიქით უაღრესად საჭიროც იყო ამ სახით ხალხთან მისვლა), მაგრამ რაღა დააშავა ისეთმა საქმიანმა ინსტიტუტმა, როგორიც არის ქალაქის თვითმართველობა. აქ ხომ მაინც პრინციპიული და პროგრამული ხასიათის კითხვები არ იქნება გახილული? რა საერთო აქვს პრინციპთან და პარტიულ დოღმასთან წყალსადენს, სკოლას, განათებას, სანიტარიას და საერთოდ სამუნიციპალო კითხვებს?

აქ ხომ მაინც არ დაისმებოდა ისეთი ზოგადი სახელმწიფოებრივი ხასიათის საკითხები, როგორიცაა მთავრობის ნდობა თუ უნდობლობა, კონსტიტუციის შემუშავება, აგრარული რეფორმა თუ სახელმწიფოს ორიენტაცია ამა თუ იმ საერთაშორისო ძალების მიმართ.

არა, ყველა ამას ადგილი არ ექნება, მაგრამ ახალციხის მაზრის ბედიღბლის გადამწყვეტმა სოციალისტებმა ეს არ ინებეს და ქალაქის არჩევნებიც საკინკლაო მოვლენად გახადეს!

ეხლა აქ გამწვავებულია საშინელი პარტიული ბრძოლა. ხალხი მეტად შეწუხებულია ანარქიულის ვითარებით და მთავრობის აგენტების უხეში მოქმედებით. აგრარული რეფორმის გატარება ისეთ ნაყოფს იღებს, რომ აქა-იქ მეტად არა-სასიამოვნო ხმები გაისმის მოსალოდნელ დიდ ახალ აჯანყებაზე, რასაც ალბად ხელს შეუწყობს ისიც, რომ სარწმუნოებრივ კითხვას ფრთხილად ვერ ეპყრობიან ადგილობრივ. ამასთანავე ხალხს აღარასფერი აბადია და ნამდვილ შიმშილს განიცდის.

აი ასეთ დროს უსწრობს მას პარტიათა ბრძოლის დემაგოგიური და ყოვლად უმსგავსო მოქმედებანი. ვერ ნახავთ ერთს მესხელს, რომ დიდად უკმაყოფილო არ იყოს ყოველი პარტიისა. ადგილობრივ ქართველებს კიდევ შერჩენიათ ქრისტიანული რწმენა სახელმწიფოებრივ ინტერესების უპირატესობისა და მათს ფსიხოლოგიას ვერ ეგუება უჩვეულო და უხამსი ლანძღვა-გინება სხვა და სხვა პარტიის ქართველისა, ის გაკვირვებულია, თუ ჯერ რად ქართველსა და საქართველოს არ ახსენიებენ, ეს პარტიათა წარმომადგენელნი.

ყოველივე ეს საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ახალციხის საქალაქო არჩევნებში მაინც პარტიები შეერთებულის სიით გამოსულიყვნენ ქართული ელემენტების გასაერთიანებლად და განსამტკიცებლად, თორემ უნდა ვიცოდეთ, რომ არავითარი ინტერნაციონალური იარლიკი აქაურ სომეხს არ გაუღვიძებს დაშნაკცუთუნის საწინააღმდეგო მოქმედების მადას.

ი. ხ.

## სომხეთი

### ნაციონალიზაცია.

სახელმწიფოს ყველა დაწესებულებაში დაწყებულია გაეროვნება, გარდა ფინანსთა სამინისტროსი, სადაც მოხელეთა ნახევარი რიცხვი რუსებიდან შესდგება. ერევანს ჩავიდა საქართველოდან გაძევებული ესერი [illegible]

იგი სასურსათო სამინისტროში მიიღეს. („აზბ“)

**სტენოგრაფიის კურსები.**

მთავრობის დადგენილებით გაიხსნა ერთი თვით სტენოგრაფიის კურსები პარსამიანის ხელმძღვანელობით. უკვე ოცდა-ათამდე ახალგაზრდა ემზადება პარლამენტის და მთავრობის სამსახურისთვის.

**სომეხ მწერალთა საზოგადოება.**

მკათათვის 5-ს დაარსდა „სომხ. მწერალთა საზოგადოება“, რომელმაც დაადგინა ამ დღეებში „კავკასიის სომეხ მწერალთა საზოგადოების“ დაარსება.

ყველა მიიღებიან როგორც მწერლები ახალ საზოგადოების წევრნი. („აზბ.“)

**კოოპერატიულ მოქმედების გაფართოება.**

სომხეთის კოოპერატივთა კავშირმა თავისი მოქმედება გააფართოვა: გახსნა გამომცემელ, ინსტრუქტორული და სტატისტიკური განყოფილებანი, და მოიწვევიან სპეციალისტები. ამიერიდან სომხური ჟურნალი „სომხეთის კოოპერაცია“ წესიერად გამოვა.

**საბავშო ბაღი.**

გაიხსნა „საბავშო ბაღი“ სადაც 5—12 წლის ბავშვები სწავლობენ ლექსების კითხვას, ცეკვას, ტანვარჯიშობას, დაკვრას, სიმღერას ხატვას და სხვა. მთავრობამ ბაღის სასარგებლოდ შესწირა 40,000 მანეთი. („აზბ.“)

# ბელა-კუნი

პრაგის გაზეთ „რუსკოე დელოში“ მოთავსებულია უნგრეთის საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარის ბელა-კუნის ბიოგრაფია. ბელა-კუნი ეხლა საზავო კონფერენციისა და მოკავშირეთა აზროვნების საგნად არის გადაქცეული. ამისთვის ინტერესს არ არის მოკლებული მისი წარსული.

უნგრეთის ბოლშევიკური მოძრაობა, გაზეთის სიტყვით, ტომსკში დაიწყო. ბელა-კუნი მაშინ ტომსკში ტყვედ იყო. პრაპორშჩიკი ბელა-კუნი ჯერ კიდევ რევოლიუციამდე მართავდა კრებებს და ეწეოდა ჩუმ რევოლიუციონურ აგიტაციას. ის თანდათანობით გახდა ტომსკის ბოლშევიკების ჯგუფის მეთაურად. გამოდიოდა მიტინგებზე და ადგენდა ტყვეებიდან წითელ ლაშქრის ნაწილებს. ბოლოს ბოლშევიკების გადატრიალების შემდეგ კუნი წავიდა პეტროგრადში და იქ შეხვდა თავის ტომის ამხანაგებს, რომელთა შორის იმყოფებოდა ანდრეი რუდნიანსკი. ის სცემდა გაზეთ „ინტერნაციონალის სოციალისტს“ მადიართა ენაზე და იმყოფებოდა მჭიდრო კავშირში გამოჩენილ რადეკთან. როდესაც ციმბირში დაიწყო ჩეხოსლოვაკების მოძრაობა, კუნი გაეშურა ფრონტზე და დაიჭირა პერმის ჯარების მთავარ სარდლობის თანამდებობა.

გიორგობისთვის 5-ს კუნი თავის ამხანაგებთან ერთად დაბრუნდა ვენაში რუსეთის სახალხო ბანკის წარმომადგენლად, მაგრამ გზაზე უსწრო გერმანიასთან დიპლომატიურ მოლაპარაკების შეწყვეტამ და მანაც ხერხი იხმარა: თავი ექიმ ემილი სებასტიანად გამოაცხადა და ამ სახელით კურსკიდან გაიპარა და კიევში ჩავიდა. ერთ-ერთ კრებაზე, კერძო ბინაზე 40 კაცის თანადასწრებით დაარსა პარტია და სულ ორი თვის შემდეგ ძალა-უფლება ხელთ იგდო.

# აზერბაიჯანი

**კასპიის ფლოტის რუსეთისადმი გადაცემის გამო.**

გაზ. „როსიაში“ მოთავსებულ ცნობის გამო, რომელშიც ნათქვამი იყო ვითომც კასპიის ფლოტილია გადასცემოდეს მოხალისეთა სარდლობას. აზერბაიჯანის მთავრობამ შემდეგი საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ბრიტანეთის მთავარ-სარდალს ბაქოში:

გაზ. „როსია-ში“ მკათათვის 30-ს მოთავსებული იყო ცნობა (რომლის ასლს გიგზავნით ამასთანავე), რომელიც კასპის ფლოტილიის მოხალისეებზე გადაცემას ეხებოდა.

რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც დარაჯად უდგას თავის ქვეყნის ტერიტორიულ ხელ-შეუხებლობას და ერის დამოუკიდებლობას, ვერ იქნება ვერას დროს თანახმა იმ ძალთა ზედმეტ განვითარებისა, რომელიც მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის. ამდენი შრომით მოპოვებული გარანტია თავისუფლებისა, ყველასგან პატივცემულ ინგლისის ფლოტილიით დაცული.

კასპიის ფლოტილიის მოხალისეებზე გადაცემა არის პირდაპირი საფრთხე აზერბაიჯანის ტერიტორიულ ხელშეუხებლობისთვის და ხალხში ეს გარემოება იწვევს დიდ აღშფოთებას, რადგან ეს ფაქტი მას მიაჩნია მის სასიცოცხლო ინტერესების ზურგის შექცევად.

გაუწყებთ რა ამას პირად განცხადების დასამტკიცებლად, მე გიცხადებთ უმკაცრეს პროტესტს ამ აქტის გამო და პატივი მაქვს გთხოვოთ, საქმის გართულების თავიდან ასაცილებლად დადგენილება ფლოტის „გადაცემის შესახებ გააუქმოთ“.

ამავე ფაქტს ეხება „აზერბაიჯანის“ მეთაური:

„ინგლისის მიერ მოხალისეებზე კასპიის ფლოტილიის გადაცემის საკითხი მეტად აღელვებს აზერბაიჯანის პარლამენტის და საზოგადოების წრეებს. ისევე აღიძრა დენიკინის საფრთხის საკითხი. ჯერ კიდევ ჩვენ ვერ გავფანტეთ ის გამოურკვევლობა რომელიც ხალხს დარჩა დენიკინის წინსვლის გამო ინგლისის პოზიციაზე, რომ ამას დაერთო კიდევ მეორე, უფრო უარესი ფაქტი.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ როგორც აზერბაიჯანის ისე თვით ინგლისის სარდლობის ინტერესი მოითხოვდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა დამყარებოდა ინგლისის წარმომადგენლებს და ინგლისის სარდლობა თავის კეთილი განწყობილებით შთააგონებდა ჩვენ ხალხს ბრიტანეთის მეგობრობის გრძნობას, შექმნიდა თავისუფალ შრომის პირობებს და არ დაუშვებდა ამ მშვიდობიანობის დამრღვევ აქტებს.“

„დენიკინის და კოლჩაკის ძალები ისევ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის მტრებად რჩებიან. ამას თვით უარჰყოფენ და ჩვენ გვრწამს, რომ პირველ შემთხვევასთანავე დაიწყებს შემოტევას აზერბაიჯანზე, ისე ვით დაღესტანზე დაიწყო შეტევა.

სხვაგვარ დასკვნას დღემდე არსებულ ფაქტებიდან ჩვენ ვერ გამოვიტანთ. ამისათვის ჩვენ არ შეგვიძლიან შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ხმელეთის საფრთხეს დაემატოს საზღვაო საფრთხეც, რომ მოხალისეებს კასპიის ზღვაში ისე გაეზარდოთ ძალები, რომ შესძლონ როდისმე ბაქოს აღება.

ჩვენ ვერ მოვისვენებთ, თუ ჩვენს დედა-ქალაქს პეტროვსკთან მოხალისეთა ფლოტილია დაუდარაჯდება, რომელიც ერთი თვალით ასტრახანისაკენ გაიყურება და მეორე თვალით კი ბაქოსაკენ.

ვერავითარი გამაგრება და სამხედრო ძალები ვერ დაგვამშვიდებს თუ კასპის ზღვის სხვა და სხვა ნაწილებში დაგროვილი იქნება მოხალისეთა საზღვაო ძალები.

ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როდესაც კასპის ზღვაზე გვეყოლება ძლიერი ფლოტილია, და არსებული ფლოტი კი მოკავშირეთა ხელში იქნება, რომელნიც დაგვიცავენ ჩვენ დენიკინის დაპყრობით მისწრაფებისაგან.

მთავრობამ უნდა მოახსენოს ბრიტანიის სარდლობას ხალხის სულიერი განწყობილება და უნდა განუცხადოს, რომ ყოველ გემის გადაცემა არის აზერბაიჯანის ინტერესების გათელვა და დიდ აღელვებას გამოიწვევს აზერბაიჯანის წრეებში“.

ამავე საკითხზე ბაქოს გაზეთ „ბაკ. ჟიზნ“-ში მოთავსებულია პარლამენტის წევრებთან საუბარი. მოგვყავს ადგილები.

„ბაკ. ჟიზნის“ კორესპონდენტს პარლამენტის ერთ ერთმა აქტიურმა წევრმა შემდეგი განუცხადა:

— მე არ დავფარავ; რომ ჩვენთან სამტროდ განწყობილი დენიკინის მიერ სამხედრო ფლოტის შეძენა არ იყოს ფაქტი ჩვენთვის მეტად მწუხარე შედეგების მომტანი.

როგორი სიმაგრეებიც არ უნდა აღვმართოთ ჩვენ საზღვრებზე მაინც ყოველ საზღვაო პუნქტზე მტერს შეეძლება გადმოსხას ძალები, და თავის მოთხოვნილებას რეალი დამცველი გაუჩინოს.

პარლამენტის ხაზზე მე უფრო ოპტიმისტური შეხედულებისა ვარ რადგან უმრავლესობა მისი მტრულად არის მოხალისეებთან განწყობილი.

პარლამენტის რეაქციულ უმცირესობას მხოლოდ ყვირილი და ფახიფუხი ახასიათებს, სიმპატიები მისკენ ნაკლებადაა.

— მართალია თუ არა ხმები უსუბბეკოვის კაბინეტის შეცვლისა და ხან-ხოელის დანიშვნის შესახებ?..

— ხან-ხოელის მიმართულება პარლამენტში არ არის ძლიერი, მაგრამ უსუბ-ბეკოვის თანამდებობიდან გადადგომაზე კი ხმებია გავრცელებული. საქმე იმაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება სოციალისტური ბლოკის სიმტკიცე. მერე ჩვენს ზურგს გვიმაგრებს მეგობრულად განწყობილი საქართველო და მტკიცედ ვიმედოვნებთ მის აქტიურ დახმარებაში. ყოველ შემთხვევაში ერთ კვირაში ყველაფერი გამოირკვევა.

# უცხოეთის ამბავი

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ბრიტანეთის მაჰმადიანების კრება.**

ლონდონის მაჰმადიანთა კავშირს დიდ ბრიტანეთის ქვეშევრდომ მაჰმადიანთა სახელით ინგლისის პრემიერ მინისტრისთვის ოსმალეთის მომავალ მდგომარეობაზე შემდეგი ნოტა მიურთმევია: ნოტაში ნათქვამია, რომ სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ ოსმალეთი დაჰყონ და წაართვან მას თვით სტამბოლი და ფრაკია, და მერე ამბობს, რომ ამ ცნობას მთელი მაჰმადიანი, ქვეყნები დაუმწუხრებია.

„ჩინეთიდან დაწყებული ატლანტის ოკეანემდე, მილიონ ნახევარ კუნძულიდან სამხრეთ აფრიკამდე საერთო მწუხარება და აღშფოთება სუფევს საშინელ საფრთხის წინ მდგარ ოსმალეთის მდგომარეობის გამო. ასეთი განწყობილება სცდილობენ ახსნან გერმანულ და ოსმალურ ინტრიგით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ბრალდება სრულებით საფუძველს მოკლებულია. ჩვენ ახლად ვბედავთ მოგმართოთ თქვენ, დიდ ბრიტანეთის კეთილ სახელის და აზიის მშვიდობიან განვითარების სიყვარულისთვის და გთხოვთ, რომ ნამდვილი ოსმალეთი და ფრაკია თავის სტამბოლით ხელშეუხებელი დარჩეს სულთანის სუვერენიტეტის ქვეშ, რათა მისი პოლიტიკური უფლება არ შემოიფარგლოს ან არ დაუქვემდებარდეს რომელიმე მანდატის მქონე სახელმწიფოს; რათა თვით გამორკვევის პრინციპი, რომელიც ევროპის ქრისტიან ხალხების მიმართ ძალაშია, გავრცელდეს აგრეთვე მაჰმადიან ხალხებზედაც და რათა დასავლეთ აზიის მშვიდობიანი განვითარებისთვის დაცულ იქმნას სულთანის სუვერენიტეტი ოტტომანის იმპერიის არა თურქულ მაზრებზედაც“.

**ახალი ჯარი ინდოეთში.**

ინგლისის სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ მკათათვის განმავლობაში ინდოეთში გაიგზავნა და მარიამობისთვეში კიდევ გაიგზავნება ახალი ნაწილები იმ გართულებათა თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოსალოდნელია მოხდეს ჩრდილო აღმოსავლეთის საზღვარზე. გაგზავნილი ჯარი შესდგება მხოლოდ თავის ნებით ჩაწერილთაგან ან ჩვეულებრივ პირობებში სამი ან ოთხი წლით ჯარში შესულ ახალგაზრდათაგან. ამ ჯარმა უნდა შესცვალოს სახლში დასათხოვი ჯარისკაცები, რომელთაც ძლივს იკავებენ საზღვარზე.

**გერმანიის კონსტიტუცია.**

გერმანიის სახელმწიფოს კონსტიტუცია საბოლოოდ გამომუშავდება მკათათვის პირველ ნახევარში.

**ვილჰელმის გასამართლებაზე**

ჰააგიდან იუწყებიან: თუ ვილჰელმს მოითხოვენ მხოლოდ მოკავშირენი ამას ფორმალური უარი მოჰყვება. გერმანიის მთავრობა დასთანხმდება მის გასამართლებას იმ შემთხვევაში თუ ვილჰელმს გამოიწვევს საერთაშორისო სასამართლო ხალხთა ლიგის სახელით. ამ შემთხვევაში ჰოლანდიის მთავრობა განუცხადებს ვილჰელმს, რომ იგი ან სასამართლოში გამოცხადდეს და ან დასტოვოს ჰოლანდიის საზღვრები.

ჰოლანდიის პოლიტიკურ წრეებში, ჰფიქრობენ, რომ ვილჰელმი საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარდგომას დასთანხმდება, თუ მსაჯულნი მას არ დასჯიან და მხოლოდ გამოარკვევენ თუ რა წილი უდევს ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევაში და მსოფლიო ომის დაწყებაში.

**ოსმალო ქალთა კავშირი**

სტამბოლში დაარსდა ახალი საზოგადოება „მაჰმადიან ქალთა შორის“ რომლის მიზანია გაუმჯობესება ოსმალო ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობისა. („ნორ აშხატ“)

**მაჯი-აჰმედ ქესმანის დაპატიმრება.**

ყაზვინიდან იტყობინებიან, რომ ყაზვინში მიუყვანიათ გაძლიერებულ დარაჯთა თვალ-ყურის ქვეშ—მირზა-კუჩიკ ხანის ცნობილი აგენტი მაჯი-აჰმედ ქესმანი. („ნორ-აშხატ.“).

**ვენის ოკუპაცია.**

„რუს. აგენტ.“ იუწყება:

„პოლკოვნიკ კენინგამმა, ინგლისის სამხედრო მისიის უფროსმა, ბრძანება გამოსცა, რაშიაც აღნიშნავს ყოველგვარი უწესრიგობა ქალაქში ჩაქრობილ იქნებაო.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ ახლო მომავალში ვენაში შევა იტალიის ორი და საფრანგეთის ერთი დივიზია. ჰუნგრელთა ჯარის ლუილენის და ობერბერგის შუა ყოფნა ვენის ოკუპაციას აუცილებლად ხდის“.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 2-ს.

## ინგლისური პრესა

**„ანარქია სომხეთში“.**

როგორც სჩანს, სომხეთში ანარქია მანამდე გაგრძელდება, სანამ ამერიკა მანდატის საკითხს არ გადასწყვეტს. იქიდან ბრიტანიის ჯარის მოსალოდნელი წამოსვლა სომხეთს უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებს ოსმალთა სიმკაცრის წინაშე. მოკავშირეთა ეხლანდელი ტაქტიკა ათამამებს ოსმალებს, რომელთაც ბოროტმოქმედება განაახლეს. ინგლისელებს არ შეუძლიანთ იქ წესიერების დასაცავად ჯარის დატოვება, რადგანაც მუშათა პარტია მათი სამშობლოში დაბრუნებას მოითხოვს. სომხებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ დაიცავდნენ და მაშინ კი მათ დაუნდობელ ოსმალებს და ქურთებს ჩაუგდებენ ხელში. აქ ჰფიქრობენ, რომ ის უკმაყოფილება, რომელიც ამერიკაში გამოიწვია ევროპის საქმეებმა და თან და თან იზრდება, წინააღმდეგობის შექმნის იმ კაცთმოყვარეობრივ პროექტებისადმი, რომელთა განხორციელებაც ისე ადვილი იყო. როგორც კი ოსმალები გაიგებენ, რომ ამერიკა მონაწილეობას იღებს მანდატის საქმეში დაუყონებლივ შესწყვეტს თავის სიმკაცრეს. სომხეთის მანდატი პოლიტიკური საკითხი არ არის. საერთო მდგომარეობა მოითხოვს ძლიერ, კეთილსინდისიერ და უანგარო მთავრობის დაყენებას. ევროპამ იცის, რომ რაკი ამერიკა ხელს მოჰკიდებს საქმეს, ენერგიულად წაიყვანს მას, მით უმეტეს, რომ ეს პრესტიჟს ჰმატებს მანდატს.

**ამერიკა საზავო ხელშეკრულებას არ ადასტურებს.**

ამერიკის საზავო კომისია და მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა 2 სახელმწიფო კიდევ დაადასტურებს გერმანიის ხელშეკრულებას და ძალაში შევა. საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, ბელგია სხვა რამოდენიმე მცირე სახელმწიფო დარწმუნებული არიან, რომ ამერიკაც დაადასტურებს ხელშეკრულებას, და უკვე დანიშნეს თავისი წარმომადგენლები სხვა და სხვა კომისიაში, რომლებიც უკვე იკრიბებიან საკითხების მოსაგვარებლად და ამ საკითხებზე შესათანხმებლად. არც ერთ ამ კომისიაში ამერიკის წარმომადგენლები არ არიან, რაც აიხსნება ვილსონის მიერ სენატის განწყობილების თანახმად მიცემულ ინსტრუქციებით, რომ საზავო ხელშეკრულების დამტკიცებამდე ამერიკის წარმომადგენელი არც ერთ კომისიაში არ დაინიშნოს. დანარჩენმა სახელმწიფოებმა უკვე დანიშნეს წარმომადგენლები რკ. გზ. საქმეების კომისიაში რომლის სხდომა უკვე შესდგა ამერიკის წარმომადგენლის დაუსწრებლათ. ესევე ითქმის ზარალის ანაზღაურების კომისიის შესახებ თუმცა საფრანგეთსა და ინგლისს ოფიციალურად ჯერ კიდევ არ დაუნიშნავთ თავისი წარმომადგენლები მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ასეთებად იქნებიან ფინანსისტები, რომლებიც უკვე იკრიბებიან სათათბიროდ. როგორც სჩანს აგვისტოს შუა რიცხვებში ეს კომისიები უკვე მიიღებენ შესაფერ რწმუნებულებს და შეუდგებიან მუშაობას, ამერიკელთა დაუსწრებლად. ამნაირად, თუ ამერიკა 1 თვის შემდეგ დანიშნავს თავის წარმომადგენლებს ის მონაწილეობას მიიღებს იმ საკითხების გადაჭრაში, რომელიც მაშინ იქნება წესრიგში და მაშასადამე ვერ მიიღებს მონაწილეობას იმ საქმეებში, რომლებიც უკვე იქნება გადაწყვეტილი, იქნებ სრულიად იმ სახით არა, რასაც ამერიკას სურდა. შეიძლება ნამდვილებით ითქვას, არც საფრანგეთი, არც ინგლისი, არც იტალია, არც იაპონია და არც სხვა რომელიმე სახელმწიფო პროტესტს არ განაცხადებს თუ ამერიკის წარმომადგენლები არაოფიციალურად მიიღებენ მონაწილეობას, ვიდრე ამერიკის სენატი საზავო ხელშეკრულებას დაადასტურებს. ეს ამერიკას საშუალებას მისცემს არამც თუ თავის წარმომადგენელი იყოლიოს კომისიებში არამედ სწორე ცნობები მიიღოს იმაზე, თუ რა ხდება კომისიებში.

**საფრ. გენ. შტაბი.**

იუწყებიან, რომ საფრანგეთის გენერალური შტაბი აგვისტოს განმავლობაში კიდევ იარსებებს. მშვიდობიან დროს იარსებებს მხოლოდ მთავარი შტაბი მარშალ პეტენის მეთაურობით. ამის გამო გაზეთებს ზოგიერთი ისტორიული ცნობები მოყავთ ომის განმავლობაში გენერალურ შტაბის მოქმედების შესახებ. ომის დასაწყისიდან მარნის ბრძოლამდე გენერალურ შტაბს მუდმივი ადგილი არა ჰქონია. საჭირო დროს მისი შექმნა ყველგან შეიძლებოდა. უმძიმეს ხანაში მარშალმა ჟოფრმა გენერალური შტაბი მარსაურ-სენ-ში მოაწყო და დასტოვა, ხოლო თვითონ კი გაემართა შანტილში, სადაც სასტუმრო „დიუ-გრანდ-კონდ“-ში უმაღლესი მთავარსარდლობა იდგა.

## გერმანული პრესა.

**გერმანიის კონსტიტუცია**

გერმანიის ახალ კონსტიტუციის აღიარებას პრესა მიესალმება როგორც დიდ მნიშვნელოვან ამბავს. „ფორვერტს“-ი სწერს: „ამნაირად, რევოლიუცია გარკვეულ ფორმაში ჩამოყალიბდა, მაგრამ რევოლიუციონური ძალები ამით არ დაიხშო და მათი გავლენა ჯერ კიდევ დიდხანს იქნება საგრძნობი. დღეიდან გერმანიაში დემოკრატიული წესწყობილება სამუდამოთაა დამყარებული, მაჩე შემდეგ აღნიშნავს, რომ ხმის მიცემის დროს რეაქციონერები დამოუკიდებლებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიოდნენ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის მოწინავე წერილში თეოდორ ვოლფი დამოუკიდებლებს მოაგონებს, რომ 1914 წლის აგვისტოს დასაწყისში დამოუკიდებელნი ისინი პროტესტს არ აცხადებდნენ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო და ამ ნაირად უფლება ჰქონდათ უცოდველთა სახის გამომეტყველება მიეღოთ და ისე ეჩვენებიათ თავი თითქოს სხვები არიან დამნაშავე ბელგიის საკითხში.

**გერმანიის ელჩების საზავო ხელშეკრულებაზე.**

ამერიკიდან ინგლისურ გაზეთების მიერ მიღებული ცნობებით, გერმანიის ვაშინგტონში საელჩო ყოფილ წევრებს ბოადის და ფონ პაანს სურთ ამერიკაში დაბრუნდნენ, იმ მიზნით, რომ იქ აგიტაცია გამართონ საზავო ხელშეკრულების გადასინჯვის სასარგებლოდ. უნდა ითქვას, რომ გერმანიის მთავრობას ასეთი განზრახვა არა აქვს და ხელშეკრულების გადასინჯვას აგიტაციით კი ვერ მიაღწევს, არამედ მაშინ როდესაც სინამდვილე ცხად ჰყოფს, თუ რა ძნელია მისი პირობების სისრულეში მოყვანა. დერპტის (იურიევის) უნივერსიტეტშიც რომელიც ეხლა ესტონელების ხელშია, ლექციები რუსულ ენაზე იკითხება, რადგან ესტონიური ენა მხოლოდ მსმენელთა უმცირესობამ იცის.

**უმავთულო ტელეგრაფი გერმანია ამერიკის შორის.**

გერმანიული გაზეთები ოფიციალურად იუწყებიან, რომ გახსნილია შეერთებულ შტატებში უმავთულო ტელეგრაფით გასაგზავნ კომერციულ დეპეშების მიღება.

**გერმანიის დანაწილება.**

მოსალოდნელია რომ ყოფილი კობურგ გოტის საჰერცოგო 2 ნაწილად იქნება გაყოფილი, რომელთაგან ერთი, ტიურინგენის მთის სამხრეთით მდებარე, ბავარიას შეუერთონ.

## ინგლისური პრესა.

**იმედები უცრუვდებათ.**

აგვისტოს 3

რანაირი მაღალი მისწრაფებებითაც არ უნდა ეხელმძღვანელნა საზავო კონფერენციას თავის მუშაობის დასაწყისში და რაც უნდა არ ცდილიყო, რომ მომავალში ომის შესაძლებლობა თავიდან აეცილებინა, ეხლა ყველა ეს უკანა რიგში სდგება და საზავო კონფერენცია ძველი დროის საზავო კონფერენციად გადაიქცა და იმავე სიმაღლეზე სდგას, რა სიმაღლეზედაც იდგა ისტორიაში ცნობილი სხვა საზავო კონფერენციები, რომლებიც შესდგებოდა, ჩვეულებისამებრ, პროფესიონალურ დიპლომატებისაგან და ყოველი ამათგანი საკუთარ სამშობლოს ინტერესებს იცავდა; ამ ჟამად, როდესაც ყოველი სახელმწიფოს ყურადღება შინაურ საქმეებზე უფროა მიქცეული ვიდრე იმ შედეგზე, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს საზავო კონფერენციამ, ყველა თვალს ადევნებს ბოლშევიზმის ზრდას და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ძველი ადგილი დაიჭირონ მსოფლიო ვაჭრობაში,—კონფერენციის მუშაობის უმეტესი ნაწილი დაეკისრა იმ დიპლომატებს, რომელთაც ასეთი ინსტრუქციები აქვთ; „რაც შეიძლება მეტის მოპოვება!“ მათ შეუძლიათ იმუშავონ სრული რწმენით, რომ საზოგადოებრივი აზრი მათ არ გაკიცხავს და მათ მოქმედებას არ გააკრიტიკებს, რადგანაც მას საზავო კონფერენციის მუშაობა მანამდე არ აინტერესებს, რასაკვირველია, სანამ მისი უახლოეს, ინტერესებს არ შეეხება საქმე. ყოველი ერი სცდილობს წარსულს დაუბრუნდეს და საერთაშორისო საქმეებისთვის საფრთხე იბადება, რომ ისეთ პირობებში, როდესაც საზავო კონფერენცია თავის მუშაობას დაათავებს. ხალხთა ლიგა მხოლოდ თეორეტიულად იარსებებს: ამერიკის მოთხოვნილება ნაკლებია მისაღები მხედველობაში ძალაში რჩება ყველა ის, რაც 1914 წლამდე როლს თამაშობდა, მოკავშირენი თითქოს მზად არიან დაივიწყონ, რომ ისინი მოკავშირენი იყვნენ. ბალკანეთის საქმეები სწორედ გამოხატავს მდგომარეობას.

# ბოლშევიკური ცნობები

**ბალკანეთი.**

მოსკოვი აგვისტოს 2. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი. ამ ჟამად ბალკანეთზე მდგომარეობა შერყეულია იტალიელები და სამხრეთ-სლავიანები ფიუმეში ერთმანეთისადმი მტრულად არიან განწყობილნი, დალმაციასა და კროაციაში სერბიელების წინააღმდეგ აჯანყებაა, ჩერნოგორიაში მონარქისტები დაჟინებით მოითხოვენ ძველი მეფის დაბრუნებას. ალბანელები იტალიელების და ბერძნების წინააღმდეგ ომს აწარმოებენ. ბულგარეთის ჯარი ოსმალების და რუმინელების სოფლებს თავს ესხმის. რუმინიაში უნგრეთის ბოლშევიკები შეიჭრნენ.

**პროფესიულ კავშირების დადგენილება.**

პარიჟი. ივლ. 30. ამსტერდამში პროფესიულ კავშირების საერთაშორისო კონგრესის საგანგებო კომისიის სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს.

„კომისია სთვლის, რომ კონგრესის მთავარი მიზანია ინტერნაციონალის იმ სახით აღდგენა“, რომ გამეორება იმ მოქმედების, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომის დროს შეუძლებელი შეიქნეს.

**ბელაკუნის ჩამოგდების მოლოდინში.**

ლიონი აგვ. 1. საზავო კონფერენცია მოუთმენლად მოელის უმაღლეს საბჭოს უნგრეთის ხალხისადმი მოწოდების შედეგს, რომ ბელაკუნი ჩამოაგდოთ.

**ბალტიის სახელმწიფოთა კავშირი.**

ნეველში პოლონეთის წარმომადგენელი მოვიდნენ მისი მიზანია ფინების ლესტლიანდიისა ლიფლიანდიისა პოლონეთსა და უკრაინის შორის კავშირის შეკვრა.

**დეზერტირთა რაზმები დენიკის წინააღმდეგ.**

პენზა. აგვ. 1. დენიკინის ტყვეობიდან გამოქცეული ამხანაგის ცნობით, ტამანის რაიონში, ყუბანის ოლქში, დეზერტირთა რაზმები, დენიკინელებს ებრძვიან: ბალაშოვ-ბორისოგლების რაიონში ჩვენი ჯარი ტერნოვკა-ხინრევკას და ნიკოლაევის რაიონში მტერს შეუტევს. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ (?) ზარბაზანი და დიდი დავლა. კისლიანკოვ-ვესელკის რაიონში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 124 ტყვის მფრქვეველი და 1000 თოფი.

**ბულგარეთის მოთხოვნილება.**

ნაუენი. ივლ. 1. ბულგარეთის საზავო დელეგაციამ საზავო კონფერენციას გადასცა ნოტა, რომელშიაც ამტკიცებს, რომ მაკედონია დობრუჯა და ფრაკია ბულგარეთს ეკუთვნის და არ შეიძლება მას ჩამოსცილდეს ეს ნაწილები.

**„ცეირი ციონის“ ყრილობა.**

მოსკოვი. აგვისტოს 31 იწვევენ სრულიად რუსეთის ებრაელთა სოც.-დემოკრ. პ. „პოალეი-ციონის“ პარტიის ყრილობა.

**მოსკოვი. სამხედრო ცნობა.** აგვისტოს 2. პსკოვის რაიონში ჩვენ უკან დავიხიეთ. სამხრეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ.

**სამხრეთ დასავლეთის ფრონტი.** ჟმერინკას რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ.

**სამხრეთის ფრონტი.** ბორისოგლების რაიონში ჩვენ ბრძოლით სადგური კარდაელი და სოფლები დავიჭირეთ. ჩვენ წამოვიღეთ ზარბაზნები და სხვა მრავალი ქონება. ელანის რაიონში ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. ჩვენი ჯარი მტრის ექვს პოლკს შეხვდა. მათ 14 ზარბაზანი ჰქონდათ. ბრძოლის შემდეგ მტერი გაიქცა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები, სამხედრო ქონება და ტყვეები წამოვიყვანეთ. კისლიანკაია-ვისლენსკთან ჩვენ 124 ტყვიის მფრქვეველი და ათასი თოფი წამოვიღეთ. კოლჩაკმა ინტელიგენციის და სტუდენტების ჯარში გაწვევის დროს მათ ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. ვლადივოსტოკის, ხარბინის, ირკუტსკის და ტო-

...ინტებმა გამოიტანეს რე... სადაც კოლჩაკის პოლი... კხავენ.

**„არმიელთა კონფერენცია“.**

...ივლ. 31. კიევში წითელ არ...ა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „დენიკინის ჩვენ არ გვეშინია მხოლოდ სისუსტე და ცუდი მოწყობილება მას დროებით გამარჯვებას აკუთნებს. კონფერენცია მიმართავს წითელ ჯარს და მეზღვაურებს მოწოდებით, ენერგია გაიორკეცონ.

**სიკვდილით დასჯა „სოვდეპიაში“**

კიევი. ივლ. 31. ოდესის გუბ. საგანგებო კომისიამ დახვრიტა გრაფი სტიბორ-მარსოვეცკი და მრავალი კონტრ რევოლიუციონერი და ნიკოლაევის ყოფილი ქალაქის თავი მატვეევი.

**ინგლისელები რუსეთში**

ინგლისური გაზეთი ( წერს: ინგლისის ახალ ჯარს ჩრდილოეთ რუსეთში წარმატება არ უნახავს. ბოლშევიკური ჯარი ისეთი ძლიერია, როგორც არას დროს. მოკავშირეების მდგომარეობა ეხლა უფრო ცუდია, ვიდრე წლის დასაწყისში, და ეშინიათ მოსალოდნელ მძიმე დამარცხების. ბოლშევიკები ეშურებიან ზღვაში გადაყვანას ჩრდილოეთში მყოფ ინგლისელებს.

**საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულება**

ლიონი. აგვ. 2. ვილსონმა სენატს განსახილველად წარუდგინა საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად შეერთებული შტატები ზოგიერთ შემთხვევაში მოვალეა საფრანგეთს დაეხმაროს.

**ბოჰემიაში**

ბოჰემიის სამრეწველო ოლქებში შიმშილია. ზოგიერთ ქალაქში მცხოვრებთა მეხუთედი ნაწილი ჭლექით და სხვა ავადმყოფობით არის დასნეულებული, რაც შიმშილობისაგან არის გამოწვეული. ჩეხო სლოვაკების ჯარი რომელიც ვოლგაზე იბრძოდა და ამ ჟამად ციმბირში იბრძვის, თითქმის სულ დაიღუპა. 250 ათასი რუსეთში მყოფ ჩეხებისაგან ეხლა მხოლოდ 50 ათასია, რომლებიც ამ ჟამად სამშობლოში ბრუნდებიან. ჩეხო-სლოვაკების ჯარის ნახევარი ნაწილი რუსეთში სახადით და სხვა ავადმყოფობით დაიხოცა, დანარჩენები კი ბრძოლაში დაიღუპა.

**ამერიკა-სომხეთში**

მოსკოვი. აგვ. 2. საზავო კონფერენციის აზრით, მცირე აზიაში საერთო სირთულისა და მოსალოდნელ შეჯახებათა გამო მდგომარეობა საშიშოა. ამერიკა სომხეთში მოკალათებას ცდილობს. ამერიკული რადიო ამტკიცებს, რომ საჭიროა ამერიკამ იკისროს სომხის მართველობა მოკავშირეთა დიპლომატები ალიარებენ, რომ ოსმალეთი მტრულადაა განწყობილი მოკავშირე მთავრობებისადმი.

**კლემანსოს ნოტა**

ლიონი. აგვ. 2. კლემანსომ დღეს ბერლინში ულტიმატუმი გაგზავნა, შლეზვინგში გერმანელების მიერ სახელმწიფო ქონების გაყიდვის გამო.

**მოკავშირეთა პირობები მუნგრეთთან ზავის ჩამოსაგდებად**

მოსკოვი. აგვ. 2. ნაუენის რადიო გადმოგვცემს იმ პირობებს, რომელიც მოკავშირეებმა წარუდგინეს მუნგრეთს შეთანხმების ჩამოსაგდებათ: საბჭოთა მთავრობა უნდა გადადგეს და მისი ადგილი დაიჭიროს ზომიერ ელემენტებისაგან შემდგარმა მთავრობამ. ყველა დ. პ. საბჭოები დროებით ძალაში რჩება. ბოლო იმ პირობით, რომ მუნგრეთის სახელმწიფო საქმეებზე გავლენას არ მოახდენენ. მოკავშირეები მოხსნიან მუნგრეთის ბლოკადას, ბუდაპეშტს სურსათს მიაწვდიან და რუმინელების წინსვლას შეაჩერებენ. მოკავშირეთა მოთხოვნილებით, ყველა სადაო საკითხების მოწესრიგება უნდა გადატანილ იქნეს პარიზში, სადაც მიიწვევენ მუნგრეთის ახალი მთავრობის დელეგატებს. ნაუენის რადიო იუწყება, რომ ცენ. აღმ. კომიტეტი ამ წინადადებას აგვისტოს 3 განიხილავს.

**ფინური პრესა**

ჰელსინგფორსი. აგვ. 2. პრეზიდენტის ერჩევის შესახებ, ფინური გაზეთები სწერენ, რომ სოციალ-შეთანხმებელთ ცენტრის კანდიდატს სტოლბერგს მისცეს ხმას მხოლოდ იმისთვის, რომ ნამდვილი რეაქციონერი და მონარქისტი მანერჰეიმი არ გასულიყო. კონსერვატიული ფინური პრესა ამბობს, რომ ფინეთი ბოლშევიკებითაა გარშემორტყმული.

# თბ. თვითმართველობაში.

**მოსამსახურეთა დაუდევრობა.**

თბილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტს საჩივრები მოსდის, რომ ქალაქის გამგეობის მოსამსახურენი სათანადოთ არ ასრულებენ თავის მოვალეობას: თხოვნებს თავის დროზე არ გზავნიან მიმართულებისამებრ და მთხოვნელებს არ აძლევენ საჭირო ცნობებს. ასეთი გარემოება აღმასრულებელ კომიტეტს დაუშვებლად მიაჩნია და წინადადება მისცა მოსამსახურეებს წესიერათ და კეთილ სინდისიერათ შეასრულონ თავისი მოვალეობანი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერი ზომები იქნება მიღებული.

**გადამდები სნეულებანი.**

ივნისის თვის განმავლობაში, ქალაქის მედიკურ სანიტარული ბიუროს ცნობებით, თბილისში ავად გამხდარა სახადით სულ 391 კაცი, რომელთაგან პარტახტიან სახადით 267 კაცი, ყვავილით 1 კაცი, წითელით 10, ქუნთრუშით 12 და ბოლერით 1. ბოლო დროს ქალაქში გავრცელდა კუჭის ავადმყოფობა, რაც ჩვეულებრივათ ბოლერის გაჩენის მოახლოვებას მოასწავებს ხოლმე, მაგრამ შესაძლებელია წელს აიხსნას იმითაც, რომ საერთოდ ცხოვრების მძიმე პირობები ხელს უწყობს ამ სენის გავრცელებას. ბოლერის მხრით წლევანდელი წელი არა ჩვეულებრივ გამონაკლისს შეადგენს და უკანასკნელ რამდენიმე ათეულ წლებში თბილისში ასე ცოტა ჯერ არ ყოფილა ბოლერა (სულ იყო ერთად ერთი შემთხვევა ბოლერით ავად მყოფობისა). ის გარემოებ რომ მოქალაქენი დიდ ხალისს იჩენენ ბოლერის აცრისადმი, იმედს ძლევს, რომ ზაფხულის დანარჩენ თვეებში თბილისში ბოლერა ფეხს ვერ მოიკიდებს.

**ახალი ხევი**

ვერაზე მოსკოვის ქ. დასაწყისში არის გაკეთებული წყლის გასადენი, რომლითაც დიდი ავდრების დროს მთიდან წამოსულნი ნიაღვარი გადის მიწის ქვეშ მტკვრისკენ, მაგრამ სხვა დროს ამ წყლის ჩასავალ ბოგირთან და მის ახლო მახლო საძაგელი სიმყრალე დგას. ამიტომ ქალაქის ექიმმა —ქალმა ფომინა— ასიპოვმა აძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ხსენებულ ადგილას გააშენონ პატარა სკვერი, იკლიან მავთულით შემოვლებული, რათა ამნაირად ერთის მხრით მიუდგომელი გახდეს ხსენებული ბოგირი და მეორეს მხრივ სკვერი დაამშვენებს ამ თვალსაჩინო კუთხეს და ნიაღვარსაც ავდრების დროს არ შ აფერხებს, თუ მას ისე მოაწყობენ, როგორც ეს სოლოლაკშია გაკეთებული, ამაღლების ქუჩაზე.

**ჯამაგირების მომატების შესახებ.**

თბილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა თბილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატს გაუგზავნა შემდეგი თავისი დადგენილება: „ქალაქის მუშა მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტი ქალაქის იმ გადაწყვეტის გამო, რომ მოსამსახურეთათვის მომატებული იქნას 800 მანეთის მაგიერ 500 მანეთი, არა ივლისიდან არამედ აგვისტოს პირველ რიცხვიდან, გაუწყებთ თქვენ რომ იგი თანახმაა ქალაქის ფინანსიერ უსახსრობის გამო დაკმაყოფილდეს 500 მანეთის მომატებით. მხოლოდ ის უსამართლოდ აღიარებს თვითმართველობის სურვილს დაარღვიოს ჩვეულებრივი წესი ჯამაგირის მომატებისა იმ დროიდან, როცა წარდგენილი იქნება მოთხოვნილება.

გაუწყებთ რა ამას თქვენ, გთხოვთ შესაფერი გავლენა მოახდინოთ ქალაქის თვითმართველობის გამგეობაზე, რათა მან თავისი გადაწყვეტილება შესცვალოს ისე რომ ჯამაგირების მომატება მოხდეს პირველ ივლისიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა წარდგენილი იყო მოთხოვნილება.

# ბორჯომის კომისრების თავხედობა.

მარიამობისთვის პირველს ჩვენდი ახალციხიდან ბორჯომში. გზაში გამტვერიანებულმა ფეხსაცმელის მწმენდელს მივმართე, რომელნიც ჩვეულებრივ პატარა ხიდსა და რემერტის პარკს შუა სხედან. ამ დროს დალმატიდან სწრაფად ჩამოიქროლა ეტლმა. მეეტლე მიადგა პარკის კარებსა და მოინდომა ეტლით პარკში შესვლა. თუმც იქ, ჩვეულებრივ ძაღლსაც არ უშვებენ, ხოლმე. სომეხი მეეტლე რომელიც გზაშიდი თავს ძლივს იკავებდა, ამას დაჟინებით ცდილობდა, მაგრამ მეეტლეზე უფრო მთვრალმა მგზავრებმა (სამხედრო ფორმაში) კიდევ გამოიჩინეს საკმარისი ჭკუის სისადე და არ ინებეს პარკის ეტლითა და ცხენებით გადათელვა.

მეეტლე იძულებული იყო მოებრუნებინა ცხენები და ეს ცხენები პირდაპირ ჩვენკენ ვინც ფეხსაცმელს ვიწმენდდით, წამოსწია. ცხადია ამ მხეცურმა საქციელმა ჩვენ აღვაშფოთა და მოვსთხოვე მეეტლეს ნომერი. მან ეს არა ჰქნა, მაგრამ ეტლში მჯდომმა ერთმა პირმა, რომელიც მეტად ჩამოჰგავდა სახით რუსს, მითხრა ნომერი და თანაც დასძინა: წადით ეხლა და იჩივლეთო. მეეტლემ მაინც თავისი ჰქნა: იძულებული გავხდა წამოვხტარიყავით და გზა დაგვეთმო მისთვის. შიგ მჯდომმა პირებმა ოდნავადაც არ მოისურვეს მეეტლის ასეთი ხულიგანობისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

სომეხი მეეტლის ასეთი თავხედური გამბედაობა და „ვაჟკაცობა“ კი თურმე სულ ადვილი ასახსნელი ყოფილა. პოსტზე მდგომ მილიციელის დაკითხვის შემდეგ გამოვარკვიე, რომ ეტლში მჯდომნი შეიარაღებული პირნი ყოფილან: ერთი ბორჯომის ქალაქის კომისარის თანაშემწე და ორიც კიდევ სარაიონო კომისრის თანაშემწენი.

ჩემმა ნაცნობებმა, ბორჯომის მოაგარაკეებმა კი გადმომცეს, რომ აგერ ორი კვირაა, რაც ეს სამი გმირი ასეთ საზიზღრობას სჩადის და საგარაკოდ ჩამოსულ ხალხს მეტის მეტად აწუხებენ. ყოველ დღე სიმთვრალე-ლოთობა, დაფეთებული ცხენებით ქალაქის ქუჩებში ფრიალი და სხ. აი ასე ასრულებენ თავის მოვალეობას ბორჯომის ადმინისტრაციის მეთაურნი. ალბად იმიტომ მითხრა ისე გაბედულად ეტლში მჯდომმა: „წადი და იჩივლეო“, რომ თვითვე იქნებოდა მოსამართლე. ყოვლად შეუძლებელია ხალხის ინტერესების ამაზე მეტი მასხარად აგდება და ფეხქვეშ გათელვა. თუ ბორჯომის ბატონ - პატრონება მხოლოდ ამ სამი ვაჟბატონის ხელშია და ქალაქს მეტი მოამაგე არავინა ჰყავს? ორ კვირაობით ქეიფი შეიძლება კარგი ხელობა იყოს, რამ თუ თავის თანამდებობის ასრულებას გაურბიან ლოთი ადმინისტრატორები, იმდენი ადამიანობა მაინც უნდა შესწევდეთ, რომ პატიოსან ქალაქელთ ეტლით არ გადაუარონ საკუთარ თუ მეეტლეთა ხულიგანობისა და თავხედურ საქციელს ხელი შეუწყონ.

ადმინისტრატორების ამ აღმაშფოთებელ და უმსგავს საქციელზე მივაქცევთ ბორჯომის თვითმართველობის ყურადღებას, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრის ყურადღებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე გამოძიებულ იქნება და დამნაშავენი დაისჯებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ხულიგნები მეტს ზიანს მოუტანენ ინტერესა და სახელმწიფოს და უკარგავენ ხალხის თვალში ჩვენ სახელმწიფოს ყოველ პრესტიჟს.

ი. ხანანაშვილი

# მიმოსვლა სახალხო მატარებლები ს. ს. რკ. გზ.

**გადის თბილისიდან.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 | ს. |
| ქუთაისში | № 10 9 | სად. | 8 | ს. |
| ბათომში | № 5 | სად. | 5 | ს. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 | ს. 5 |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 | ს. 3 |

**მოდის თბილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 | ს. |
| ფოთიდან | № 4 | სად | 8 | ს. 4 |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 | ს. 1 |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 | ს. 3 |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 | ს. 0 |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. | 50 წ. |

**მოდის სალოღლიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი**

**გადის**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | [illegible] ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

**მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | სად. | 8 ს. | 4 წ. |

**თბილისი-სანაინა**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და ... დანიშნულება არის სამგზავრო ... ფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნ... და გორის შუა: 1 წყვილი ივლის ...მე და კვირა დღეებში, 2 წყვილი ...მე და უქმის წინადღეებში.


საექიმო კაბინეტი

ექ. პ. ტუ შლამაილის

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფ... და სხვა გვარ სნეულებანი ავათმ... ფები სასქესო და საშარდე ორგანო... (606 და 914 წამლობა) მიხეილის ... ავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს 3... ხანოვის (№ 55) და ბელგიის (№... ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახ...

საათ 25—2536—

გ. გ. მაგრაბიანს...

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა... გულისა. იღებს ახალ რენტგენის... ელექტრო-წამლობის კაბინეტში, ... სინჯვა და წამლობა X ს სხივ... დიდი სალინიიდი და ... სევალის ... კით ფილტვების, გულის და სხვა ... ნაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბ... უფასოთ. ყოველ დღე დილის 9... საათამდე და საღამოს 5—8 საათ... ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4... 7—92.

ხამკურნალო კაბინეტი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძე

ქამადიანი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფ... ლისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დ... ლის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს ... საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექ... № 116, სასტუმრო „ნოეს პირდაპი... ტელეფონი 14—28.


# ტრფობა წამებული

**(ისტორიული რომანი)**

**71.**

სასახლეში კრძალვით და შიშით ელოდდნენ აშოტის დაბრუნებას. აისრულა დედოფლის წადილი, ჰპოვა უფრო მძლავრი ძალა, სინამ სურვილი ხელმწიფისა, დაიხმარა ის ძლიერება წინააღმდეგ მეფურ უფლებისა, რომლის თანაზიარი იყო თითონაც, და დაპატიმრა შუქური მონა ტერში, ჩაუკეტა კარი ცხოვრებისა. რაც ბოლმა უტკიოლებდა ზვიად გულში დედოფალს. მხევლისაგან დამარცხებულს, ქმრისაგან უარყოფილს და მოახლეზედ გაცვლილს, მთელი ჯავრი, გუბე გესლისა აღუღებულ ...ლქ ფებული, ზედ დაანთხია მეძავს სატარელს, მოსპო ის ცხოვრებისათვის, ცოცხლივ დამარხა უძიროო მიხრწილში ამოუსვლელში. მაგრამ ამითი მაინც არ ისპობოდა ჰყრობილი გრძნეული, არ განქარდებოდა ძალა მისი ეშმ კილი: მეფე — ვაჟკაცი ძლიერ იყო დაგესლილი იმ ჭრილისაგან, შებორკილ-დამონებული, და ეხლა დიდად საზრუნავი იყო ის, როგორ აიტანდა აშოტ მძლეველი ამ მისთვის ფრიად სამძიმო ამბავს.

— ძალიან იწყენს, გაბოროტდება, აღშფოთდება უზომოდ. რა საშინელებას ჩაიდენს ვნება აშლილი, ფიქრ აფუტკვნილი, მხოლოდ ღმერთმა იცის. შეიძლება, ველარ შეიმაგროს თავი, რისხვა თვისი მეხად დაატეხოს ყველას და ყოველსავე. განრისხებული აშოტი განძვინებული ლომია უწყალო, მედგრად მოქმედი, ამბობდა დედოფალი.

და ფიქრობდა, როგორ შეჰხვედროდა მეფე მეუღლეს, რომ მცირედ მაინც დაეწყნარებინა ის და ფრთხილად ამოეღო სევდის ისარი, რომელი ამ ამბის გაგონებაზედ გულს განეწონებოდა გამიჯნურებულს.

ფიქრს მისცემოდა მწარეს ღირსი გრიგოლიც. შეებრძოლა იგი გოლიათს ქრისტეს სჯულის შემბღალავ-მაგინებელს, შეჰმართა მთლად უიარაღოდ. მხოლოდ არგანი ეპყრა ხელთ და საბელი თვისის ხამლისა, როს გაემართა იმასთან წყობად. გაუმარჯვდა გულადს: საბლით შებოჭა ეშმაკეული, რომელს ჰმონებდა ძალა გოლიათისა, არგნით წარიგდო იგი წინ და დახშო წმიდა სავანეში, სად უმწეოა სატანა ბილწი, მოლად უძლურია მის მანქანება. თითქმის უბრძოლველად შეასრულა ყოველივე ეს მაგრამ ბრძოლა კვლავ მოელის მას, ყველა მის მომხრეს, წყობა სასტიკი, უწყალო შეუბრალებელი.

— ვინ იცის, რით დამთავრდება ომი საბედისწერო. ნუ იტყვი, იბრძვის მხოლოდ ვაჟკაცი ერთი სურვილთა ასასრულებლად. იბრძვის აქ ბჭე ჯოჯოხეთისა წინააღმდეგ წმიდის ეკლესიისა. ვერაფერს დავსთმობ! ვერ შედრკება საყვარი ღვთისა სალს კლდეს ყოდნობილი, ვერ შეირყევა: ეს აღთქმაა მაცხოვრისა უცილობელი!

— მაგრამ ეს აღთქმა შეეხება საბოლოვო გამარჯვებას ეკლესიისას ჟამთა დასასრულში; დროებით კი, აქა თუ იქ განსაზღვრული ერის თუ ადგილის; შესაძლოა და მარცხებაც ნათელისა, მოკვდინება თუ დაშლა არა მცნებისა, არამედ მებრძოლთა, მათ სიმაგრეებისა.

— ოლონდაც! ბევრჯერ მიუღიათ სჯულისთვის მებრძოლთ სიკვდილი მოწამებრივი, ბევრგან ნგრეულან მძლავრი მარჯვენით ზღუდენი წმიდათა სავანეთანი. შესძლებს ბოლომდის ბრძოლის ღირსი თებრონია? არ შედრკება მისი მხნეობა ღვთაებურის შურით გზნებული? არ დაუთმობს იმ ეშმაკეულს, არ განუტევებს, თუნდაც წამება მიერგინოს მისთვის და თვით სიკვდილი?

— სრული იმედი მაქვს ღირსისა! ვიცნობ თებრონიას, მის შემმართებელ ბუნებას განუტეხელს... მაინც მიპყრობს შიში გაურკვეველი; ცხადად ვერა ვჭვრეტ შავ რამ ბურუსში დაფარულს ბოლოს სასტიკ ბრძოლისას. ვილოცოთ, ძმანო ჩემნო, მიჰფინოს ყოვლად ძლიერმა წმიდა სავანეს მადლი თვისი განმამტკიცებელი, შემოარტყას მას უძლეველი ძლიერება თვისი ზღუდედ უძრავად, განამხნეოს თვის სადიდებლად მებრძოლი დედა თებრონია. ვევედრნეთ, თანაწარხდეს ჩვენგან განსაცდელი ესე სასტიკი.

ლოცულობდა გრიგოლ, მაგრამ მთლიანად ვერ აღევლინა გონება თვისი ზეცისადმი: გონების თვალი არა მშორდებოდა მეფის სასახლეს და დედათა მონასტერს, ზრუნვით ბყრობილი მისი აზრი მქსელავდა გზას ამ ორ მეტოქე ციხე სიმაგრეებს შუა.

საშიში ბრძოლა დაწყებულიყო წმინდა მოღვაწეთა და მეფის შორის. აშოტი არ დასთმობდა თვის სატრფიალოს, ვერ დაუტევებდა იგი მას, ვერსაგზით ვერ შესძლებდა მის უარყოფას; შუქური განუყოფელი ნაწილი შექმნილიყო მისი არსებისა, მისი სული უკვე გადასულიყო შუქურისას, დაევანა მის გულში, როგორც პატიოსან ქვისაგან გამოკვეთილ რამ ტაგრუცში; შუქურს მოკლებული, სულო და იყო აშოტი და როგორ იცხოვრებდა რით იცხოვრებდა, ვით იმშვიდებდა ბოლა თუნდაც ერთს წამს?! შეუძლებელი იყო ეს! აშოტი ვერ დასთმობდა ცოცხალი იმ მისთვის მთვარისებურ მარგალიტს ფაფ დაუდგენლს.

ეს კარგად იცოდა დედა თებრონიამ და მისთვის გაიკეთა გული ისეც გაციებულ-გაქვავებული. იღუმალი სიხარულით ელოდა ის რისხვას მეფისას: ნატრობდა წამებას, სიკვდილს მოწამებრივს. მაშინ ეცას ალფრინდებოდა იგი ცხოვრებისაგან უარყოფილი. ცხადათ ჰხედავდა გრიგოლი, რა ძვირფასი ძალა იყო თებრონია ქალი და გაჰკვირვებოდა დაენანებოდა კიდეც მას იგი, გული ეტკინებოდა. ყველანიც განცვიფრდებოდნენ მაშინ, ქებას ეტყოდნენ, ხოტბას შეაფრქვევდნენ. ზღაპრად იდიდებოდა მისი გმირობა, უბრალო ედემურის შემმართებლობა.

მეფემ კი არაფერი იცოდა ამ ამბისა, ამ სხვისთვის თითქო უმნიშვნელო, მაგრამ მისთვის საბედისწერო ბრძოლის დაწყობის შესახებ: მეფე ზანაკამდინ ჯერ არავითარ ცნობას არ მიეღწია ამაზედ. წინადგრძნობაც არა ჰქონდა ვეჟკაცს ამ მისთვის ძნელ ამბისა. მოუხაროდა სასახლისაკენ. დიდად გამარჯვებული იყო მებრძოლი, იმისთვის იწვებდ და იხარებდა, ვგერ ერთი თვე სა, სათარეშოდ წაბრძანებულიყო აშოტი, დიდი ლაშქარი არ ახლდა, არც დიდი ომი განეზრახა სამფლობელოში შემოჭრილ მტერთან; მხოლოდ მსურდა მოსვენება არ მიეცა მისთვის აქა თუ იქ მოულოდნელ თავდასხმით. ჯარი პატარ-პატარა მსწრაფე-მოძრავ რაზმებად დაეყო და დაეგზავნა. თითონ შუა ადგილი დაეჭირა ჩრდილი დასტით, რომ მსწრაფლ გაჩენილიყო იქ, სადაც გაჭირდებოდა. კარგი დრო იყო სალაშქროდ თუ სანადიროდ. ზაფხულის ჟამს ადიდებული მდინარეები ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ მტრისათვის, რომელმაც არ იცოდა ქვეყნის აგებულება და მარჯვედ სავალი გზა თუ ფონები. ქართველებს კი არ გამოეპარებოდათ არც ერთი მოკლე სავალი თუ ბილიკი. ჰაზრიანად სარგებლობდნენ თავის ცოდნით, ანადგურებდნენ მტერს მაშინ, როცა სრულებით არ მოელოდდა ის; თავს ესხმოდნენ სწორედ იქ, სადაც ის მთლად უზრუნველად ჰგრძნობდა თავს. შიშის ზარი დაეცა აშოტს მტრისათვის, ძრწოლა შეეყენებინა მისთვის. დიდად ეზარალებინა. ეხლა შემოკრიბნა გაფანტული რაზმები და დავლით დატვირთული ხალხი დიდის ზეიმით თუ ღრეობით ისწრაფოდა სატახტო ქალაქისაკენ. მიეხაროდათ სახლში, ცოლ-შვილთან, სატრფოებისკენ. საჩუქრები მიჰქონდათ ძვირფასებისთვის, ნიშანი გამარჯვებისა. მეფეც იხარებდა, როგორც ერთი მხედართაგანი; იმასაც მიჰქონდა რჩეული ზღვენი თვის სახლობისთვის, საუკეთესო სახსოვარი გულის ვარდისთვის.

— ეს სამაჯური მის ნაქანდაკებ მკლავს, ესე ფარული მკერდს დრუნგილისას, სიცოცხლით სავსე მარმარილოსას! გაიხარდება ლამაზს. გამიხარდება, რა ვნახავ ჩემეულით დამშვენებულსა. მე რომ მოვიცილო მის კოცნისაგან, ამან დაჰკოცნოს ჩემ მაგიერად; განუწყვეტლად ჰკოცნოს, მოუცილებლად.

ისწრაფოდა ვეჟკაცი გამიჯნურებული, ჰაბუკისავით ჩქარობდა, სულმოკლეობდა, ელავდა მოუთმენლად. მიელავდა ლაშქარიც დროშა-გაშლილი, მიიმღეროდა. გზა კი არ ილეოდა: გაგრძელებულიყო არტანუჯის შარა, შორს თუ დაეწივნა მეფის სასახლეს! მაინც მივიდნენ. შეაქროლეს ტაიჭები ციხის ეზოში. სეფე ქალნი გამოეგებნენ რაინდებს. დედოფალი მოწინაობდა. მიულოცეს გამარჯვება. გაიხარეს. აშოტი თვალს ავლებდა კეკლუცთა კრებულს. მის ხედვათა ისარი არ შეჩერდა არავისზედ: ასცდა მის თვალთა სხივი სეფე ქალთ, მიევლ-მოევლო მოახლეებს, მხევლებს, მსახურებს. არც იქ შეჩერდნენ მეფის თვალები, ვერც იქ ჰპოვეს თვის საძებარი: შუქური არ იყო არც იმათ შორის. ეს პირველი ისარი იყო წვერ გამახული, ბნელმა ეჭვმა რომ დაასვა მეფის გაშლილ გულს.

ნახეს აბანო. შესცვალეს საომარი ტალავარი სალხინო ტანთსაცმელით, დაიდეს ნადიმი დიდებული, მეფის საკადრი. დედოფალი ალტაცებაში იყო საუკეთესოდ შემკული. ყველას უტკბებოდა, უალერსებდა მეუღლეს; ცდილობდა ეზხი მიეცა მეჯლიშისათვის. ღელვა მაინც ემჩნეოდა: ჰარბი სიხარული ვერ ეფერებოდა მას ზვიად ხასიათს მიუკარებელს, განზრახ მოწყობილი შვება ხელოვნური. მეფე კმაყოფილი იყო, რომ გურანდუხტი თვისი ხალისით აელვარებდა მხიარულებას. წინათ თვისი ერთობ თავდაჭერილი ქცევით უკარებელით, მეტად ამაყი და მიმ ხილვით თუ თქმით ანელებდა ხოლმე აღფრთოვანებას შვებისას ალად ავარდნილ ვაჟკაცს მაინც ეტყობოდა ღელვა, თანდათან ემატებოდა მოუთმენლობა. მაშ რა უნდა ექმნა, თუ არ აღელვებულიყო: შუქური არსადა სჩანდა არც დილის ეზოში, არც ეხლა ნადიმზედ.

— ვიღაც სხვა ადიდნებს თვალყურს ტაბლის სამკაულს, ჭურჭელს მურასას. სად არის შუქური? როგორ შეიძლება, სხვის ხელი ჰხვდებოდეს ძვირფას საუნჯეს?! ნუ თუ არ იციან, რომ ოქრო-ვერცხლის სასმისი, თვალმარგალიტით მკული, მხოლოდ მაშინ ჰმვენის, როცა მას ჰხვდება ხელი შუქურისა?!

სევდილითა ჰსურდა დაეძახნა შუქურისათვის, ეხსენებინა მისი სახელი, ეკითხნა, სად იყო იგი სახლის მშვენება, ებრძანებინა, ფიცხლად მოეყვანათ მის წინაშე იგი ქალთამზე. ეჰ, არ შეიძლებოდა: მეფე იყო, მთელი საქართველოს მბრძანებელი და არ შეჰშვენოდა, საჯაროდ ესდენი ყურადღება მიექცია სასახლის ქალისათვის. ჯავრი დაეტყო მეფეს, შუბლი შაეჭმუხნა. ნაძალადევად ლა იტყოდა სიტყვას. აღარ ესმოდა სხვათაგან თქმულიც. შენიშნეს მეინახეთა ჰმუნვა მეფისა და დაუშვეს ხმა, დახარეს შვება. შეწყდა ჟრიამული სამხიარულო. გაფრინდა შავი ფრთა უამობისა. გავდა მეჯლიში. დაიშალა სტუმრეულობა.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)